სახალხო გაზეთი

№ 1108 ოთხშაბათი, 5 თებერვალი 1914 წ. № 1108

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტ ი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის ოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წლიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიიღება ხელის მოწერა 1914 წ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერ.

სახალხო გაზეთი

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა 1914 წელსაც გაზეთს ექნება

სურათებიანი დამატება

(კვირაობით).

პრემიად **1914 წლის ხელის მომწერთ მიეცემათ** სამი წიგნი

პირველი წიგნი: „ქართველი მწერლები“, რომელშიაც დაბეჭდილი იქნება: 1) „უგვირგვინო მეფენი“, ისტორ. დრამა 5-მოქ. სანდ. შანშიაშვილისა. 2) „მიმქრალი შარავანდედი“, ისტორ. რომანი ვ. ბარნოვისა და სხვ.

მეორე წიგნი: „უცხოეთის მწერლები“, რომელშიაც დაიბეჭდება: „დონ-კარლოსი“, ტრაგედია შილლერისა, თარგმანი გერმანულით **სანდრო შანშიაშვილისა** და სხვა ნაწარმოებნი უცხოეთის მწერლებისა.

მესამე წიგნი: „სამეცნიერო კრებული“, ორიგინალური და ნათარგმნი წერილები.

გაზეთის ფასი წლიწადში 8 მ. და 50 კ. **ცალკე № შაურად. დამატებიანი 7 კაპ.**

12 თ.	11 თ.	10 თ.	9 თ.	8 თ.	7 თ.	6 თ.	5 თ.	4 თ.	3 თ.	2 თ.	1 თ.
8. 50	8.	7. 50	6. 75	6	5. 25	4. 50	3. 75	3	2. 25	1. 50	75.

საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 50 კაპ.

ადრესის გამოცვლის ფასი ტფილისისა ტფილისის გარედ, ან ტფილისის გარეთისა ისევ ტფილისის გარეთისაზე 40 კ.

დანარჩენ შემთხვევაში უფასოდ.

სამი აბაზი უნდა გადაიხადოს კიდევ იმ ხელის მომწერმა, რომელსაც სურს მიიღოს ფოსტით სამი საპრემიო წიგნი. ვინც რედაქციის კანტორაში მიიღებს პრემიას, იმას ეს ფული არ გადახდება.

წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი 8 მ. 50 კაპ. შეუძლიათ გადაიხადონ ნაწილობით **მხოლოდ** შემდეგ ვადებზე უნდა იყოს გადახდილი: ხელის-მოწერისათანავე 3 მ., 1 აპრილამდე 2 მ., 1 თიბათვემდე 2 მ. და დანარჩენი 1 მ. 50 კ. 1 ენკენისთვემდე.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს 1914 წლის გასულისა.

ხელის მოწერა მიიღება: 1) „სახალხო გაზეთის“ კანტორაში, სასახლის ქუჩ., სარაჯიშვილის სახლი, შესავალი ეზოდან.

2) ქ. შ. წ.-კ. გამავრც. გამგეობის წიგნის მაღაზიაში.

ფოსტით: Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети“. П. Ящ. 190.

გამოუთქმელ მწუხარებაში მყოფნი **ნიკოლოზ, მიხეილი მოსეს ძენი, ბარბარე, ელისა მოსეს ასულნი და ელენე ლევანის ასული ქიქოძენი, ნადეჟდა როსტომის ასული ტატიშვილი** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ პირველნი—საყვარელი მამის, მეორე—ძვირფასი მამამთილის, ხოლო უკანასკნელი—დაუვიწყარი სიძის ნაფიცი ვექილის

მოსე ათანასეს ძის ქიქოძის

გარდაცვალებას ქ. ქუთაისში. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 70

ღრმად დამწუხრებულნი **თამარი მოსეს ასული და პავლე გურგენის ძე მდივნები, ნინო მოსეს ასული, ვასილი ივანეს ძე აბრამოვიჩნი, ეკატერინე მოსეს ასული და ედმუნდ ედმუნდის ძე ფრიკები** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ საყვარელი მამისა და დაუვიწყარი სიმამრის ნაფიცი ვექილის

მოსე ათანასეს ძის ქიქოძის

გარდაცვალებას ქ. ქუთაისში. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 71

დეიდა პელაგია გიორგის ასული და მისი შვილები: **დავით, ალექსანდრე, მარგარიტა რომანიშვილები** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა, მეგობართა და ამხანაგებს გარდაცვალებას ძვირფასის

გაბო მეკრავიშვილისას.

მიცვალებულს გამოასვენებენ ხუთშაბათს, 6 თებერვალს, **გორის** ოქონის ღვთის-მშობლის ეკლესიაში, დილით 10 საათზე, დაკრძალვა იმავე დღესა. 68

კნეინა ეკატერინე ალექსანდრეს ასული თარხან-მოურავისა შვილებითურთ და სიძე მისი **თ-დი ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე ჯანდიერი, კნეინა მარია ლევანის ასული ანდრონიკაშვილისა, კნეინა ელენე ალექსანდრეს ასული ბებუთოვისა** გულითადს მადლობას უძღვნიან ყველა მათ, ვინც თანაგრძნობა გამოუცხადა დაობლებულ სახლობას პირადად, ტელეგრამებით ანუ წერილობით

თ-დ ილია მიხეილის ძის თარხან-მოურავის

გარდაცვალების გამო. 72

გულმოკლულნი **დედა მარიამ გიორგის ასული, მამა გრიგოლი ივანეს ძე, მეუღლე თამარი ილარიონის ასული მეკრავიშვილები, და ნინო გიორგის ასული თავისი მეუღლით ლევან ზაქარიას ძე ქარუმიძენი, ძმა ივანე გიორგის ძე მეკრავიშვილი** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა, მეგობართა და ნაცნობთ უეცრად გარდაცვალებას დაუვიწყარის და უძვირფასესი

გაბო მეკრავიშვილისას.

მიცვალებულს გამოასვენებენ ხუთშაბათს, 6 თებერვალს, საკუთარ ბინიდან, **ქ. გორი**, თუმანიშვილის ქუჩა, № 1, დილით 10 საათზე, ოქონის ღვთისმშობლის ეკლესიაში, სადაც იქნება გარდახდილი წირვა და ანდერძის აგება. მიცვალებულს დაკრძალავენ საქალაქო სასაფლაოზე. 67

ც ნ ო ბ ა

უმართებულესი სენატის განკარგულებათა და განმარტებათა კრებული 1913 წ. 9 ნოემბრისა № 253 განყ. მე-2. დამტკიცებულია სარკინიგზო შრომის არტელის **„ვარიაგის“** წესდება, ვაჭრობა-მრეწველობის, გზათა და შინაგან საქმეთა მინისტრების შეთანხმებით, რუსეთის სარკინიგზო საზოგადო კანონთა დებულების მე-77 მუხლის შენიშვნის ძალით, ტომი 12.

მიიღებიან არტელის წევრებად არა მარტო ტფილისისა და ბაქოს, არამედ ყველა დანარჩენ სადგურებზედაც ამიერ-კავკასიის რკინის გზისა. ფიზიკურად ჯანსაღი პირნი, არა უმცირეს 21 წლისა. და არა უხნიერეს 45 წლისა. არტელის წევრთა რიცხვი განუსაზღვრელია. ცნობების მისაღებად უნდა მიმართოთ არტელის გამგეობას, რომელიც იმყოფება ვაგზლის ქუჩაზე სახლი № 2, დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—10 საათამდე.

1038 **გამგეობა.**

გორის პირველი კერძო

სამკურნალო

ქირურგიულ და ტერაპევტიულ (შინაგანი სნეულებათა) განყოფილებებით.

კუთხე სობოროსი და სემინარიის ქუჩისა, სახლი ზანგურიძისა.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 20 საწოლით.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ დროს.

გარედან მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები:

კობერიძე მ. ს. ქირურგიული, სამშობიარო და დედათა სნეულებანი ყოველ დღე 8—12 ს.-მდე.

წინამძღვარიშვილი მ. დ. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი, ყოველ დღე დილ. 9—12 ს.-დე გარდა კვირისა.

მესხიშვილი ს. ს. ქირურგ. სნეულებანი, ყოველ დღე 12—1 ს.-დე.

ბრიუკნერი მ. გ. თვალისა და ვენერიული (ათაშანგის) ავადმყოფ. ყოველ დღე 1—2 ს.-დე.

გინზბურგი ა. ლ. კბილისა სნეულებანი ყოველ დღე 2—9 ს.-დე.

რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული, ცალკე ოთახი 4 მ.-დან. ოპერაციები, კონსილიუმი, ელექტრონით წამლობა, მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება, შეხვევა და სხვა შეღავათიანი ფასით.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. გასინჯვა: სისხლისა, შარდისა, ნახველისა, კუჭის წვენისა და სხვა **წამლობა „606“, „914“.** 1604

ელექტრონის, რენტგენის სინათლის

სამკურნალო

საწოლი ოთახებით

მიხეილ გედევანიშვილისა

ნევრებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე, კვირის გარდა, დილის 12—2 საათ., საღამოთი 6—8 საათ. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20, ტელეფ. 791.

1468

ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლო.

ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები:

შინაგანი სნეულებ.	**მანსვეტაშვილი მ. მ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს. **მალალაშვილი გ. გ.** სამშაბ. და შაბათობით 10—12. **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1 ს. **ფედოროვი ე. გ.** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1.
ქირურგ. სნეულებანი.	**მარკოვიჩი მ. ლ.** კონსულტატი ყოველ დღე 11½—12½. **მელიქიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1. **ფირადოვი რ. ბ.** ყოველ დღე 12—1.
ქალთა და სამშობ. სნეულებანი.	ექიმი-ქალი **მერბიცკი-ფირადოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12. **თიკანაძე ი. ე.** ყოველ დღე 1—2. **მელიქიშვილი ნ. მ.** ყოველ დღე 10—1.
ბავშვთა სნეულბ.	**მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1. **ფედოროვი გ. ს.** ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1.
ვენერიულ. სნეულებ, და ყლექ.	**ჯავახიშვილი ნ. ნ.** სამშაბ., ხუთშაბ. და შაბათ. 12—1. **ფონდ[illegible]ევი მ ს.** ყოველ დღე 1—2.
ყელ. ყურის და ცხვირ.	**ათენიანცი ნ. ა.** ყოველ დღე 12½—1½.
თვალის სნეულ.	**მუსხელიშვილი მ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½.
კან. და ვენერ. ავ.	**დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე 11½—12½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann. რჩევისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მ.-დან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. დაწყებული. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, **„606“ და „914“ წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა. შეღავათიანი საფასურით. 1436

ტელეფ. № 795. ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 6 თებერვალს 1914 წ. ქართ. დრამატ. საზოგ. დასის მიერ

ვ. შალიკაშვილის საბენეფისოდ

წარმოდგენილი იქნება:

I

ისმინე ისრაილ

დრამა 3 მოქმ. დიმოვისა თარგმანი ი. შალიბაშვილისა.

II

დარისპანის გასაჭირი

კომედია 2 მოქმ. დ. კლდიაშვილისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: მდივანი, პიერეტა, ჯავახიშვილი, ბ-ნნი ბარველი, გუნია, გომელაური, ზარდალიშვილი, იმედაშვილი, სარაული, ციციშვილი, შალიკაშვილი.

დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზე. ადგილების ფასი საბენეფისო.

რეჟისორი ვ. შალიკაშვილი.

ა ნ ო ნ ს ი: შემდეგი ბენეფისი ვ. გუნიასი, წარმოდგენილი იქნება დონ-კარლოსი. ადმინისტრაცია ქართ. დრამატ. საზოგადოებისა. 1006

ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება:

ჩვენი კაზმული მწერლობა.

ვაჟა-ფშაველა. თხზულებანი	1 მ.	კ.
„ ახუნდი, პოემა,	5	„
„ ბახტრიონი,	20	„
„ ამოდის ნათლება,	15	„
„ სამი საყმაწვ. ამბავი,	15	„
კარიჭაშვ. სამი მსხვერპლ., მოთხ.	30	„
კლდიაშვილი. საყმაწ. მოთხრ.	30	„
„ თხზულებანი I.	75	„
„ „ II.	75	„
მზის სიცილი, აბაშელი.	50	„
მგალობლიშვ. თ-დი იორენიძე,	10	„
„ მთიული ხოსე,	10	„
ლომოური. ყოვლის მხრიდან,	10	„
„ ბერუა ქრისტესიაშვ.,	10	„
„ ალი,	10	„
„ ქაჯანა,	7	„

ნინოშვილი. მოსე მწერალი,	10	„
„ არშიყნი,	5	„
„ სიმონა,	20	„
„ პოლიასტომის ტბა,	5	„
„ განკარგულება,	5	„
„ გოგია უიშვილი,	5	„
ორბელიანი გრ. ლექსები,	20	„
ორბელიანი ვახტ. ლექსები,	60	„
ორბელიანი ნინო. „	30	„
ახლად გამოსული წიგნები:		
ა. ფრონელი. მთის არწ. შამილი,	25	„
გაბრიელ ეპისკოპოსი იმერეთისა. კელენჯერიძე,	1 მ.	
Долина Свѣти Груз. преданіе,	1 მ.	
აჭარის მთავარი ახმედ-ფაშა ხიმშიაშვილი,	10	„
საქ. ცხოვრ. ზ. ჭიჭინაძისა,	1 მ.	

ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. гр. нас.

საზღვარ-გარეთის კიმონო

რ. ა. პორტუგალოვისა

იუწყება, რომ კუკიის (ნიკოლოზის) ხიდზე (№ 23—24) არსებულმა

ს ა ქ ა რ ხ ნ ო მ ა ღ ა ზ ი ა მ

მიიღო დიდ-ძალი **შეკერილი ტანისამოსი** მამაკაცების, ქალებისა და ბავშვებისათვის. მიღებულია აგრეთვე მამაკაცთა კოსტიუმები, ქალებისათვის ქვედატანი და ხალათები ცალ-ცალკე.

ახლად მიღებულია. ძალიან იაფად, საქარხნო ფასებზე 30 პროცენტის დაკლებით, იყიდება სეზონიდან დარჩენილი საქონელი. იმედი გვაქვს, საქარხნო მაღაზიაში მყიდველნი კმაყოფილნი დაგვრჩებიან.

აქვე მიიღება ყოველგვარი შეკვეთა.

1632 პატივისცემით **რ. ა. პორტუგალოვისა.**

კ ი მ ო ნ ო

კიმონო **კიმონო**

ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ ოთხშაბათს, 12 თებერვალს, ნაშუადღევის 12 საათზე დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

ა ხ ა ლ ს ა ს ა ლ ა ხ ო ზ ე ბ უ ფ ე ტ ი ს თ ვ ი ს

სავაჭროდ გამართულ შენობის იჯარით გასაცემად. კონდიციების ნახვა შეიძლება ქალაქის გამგეობის მე-3-ე განყოფილებაში ან ახალისა და ძველი სასალახოს კანტორებში. 1048.

დღეიდან

ვაგზლის სამკურნალოში

(აფთიაქის გვერდზე, ვაგზლის ქუჩა, № 8. ტელეფონი 695)

მიიღებენ ავადმყოფებს 11 საათიდან 3 საათამდე.

ნათიშვილი—ვენერიული და კანის ავადმყოფ. 10—11 ს.

მინასოვი—ქირურგი, 11—12 საათამდე.

პაპოვი—ყურისა, ცხვირისა და ყელის ავადმყოფობანი 11—11½ საათამდე.

ციციშვილი—შინაგანი და ნერვების 11—12 საათამდე.

ექ. ქალი იოსელიანი—ქალური ავადმყოფობანი, კვირაობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით 11—11½ ს.

სამხედრო ექ. კლდიაშვილი—შინაგანი და ბავშვების სნეულებ. 1—2 ს.

მაშაკიძე—შინაგანი და ბავშვების სნეულებანი, საღამოს 6—7 საათამდე.

რჩევის საფასური—50 კაპ.

წამლობა „914“.

1023

ექიმი **ა. ნ. დიასამიძე**

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს, ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 სათ. კვირ. ავად. არ იღებს. მოსკოვის ქ., № 3, სახ. ბაბაშვილისა.

ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი

ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში.

იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. **აქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 737.

საბურთალოზე
მშვენიერ ალაგას
ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიყრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდომელ ფასებში.
მსურველთ შეუძლიათ მიმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ-ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ფული, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 122

ექიმი გ. მუსხელიშვილი მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—11$^{1}/_{2}$ საათამდე. დიდი მთავრის ქუჩა № 67.

ექიმ ლ. ლ. გოცირიძის
სამკურნალო
ქალ. ბაქოში
მუდმივ საწოლებით:
სულით-ავადმყოფებისა, აგზნიანებისა და ლოთებისათვის.
ფასი მორიგებით.
ადრესი: Баку, магазинная, № 50.
1608

ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორი
ბ. გ. მეგრაბიანცი
იღებს შინაგან სნეულებათა ავადმყოფებს. სწამლობს ფილტვებისა—ელექი და გულის სნეულებათ. სპეციფიურად ელექისათვის შეფარდებული წამლობა, ხელოვნურ. პნევმოტორ. განათება, ფილტვებისა და გულისა ფოტოგრაფიულად გადაღება და აგრეთვე ელ. ვ. სებურ რენტგენის სხივებით გადაღება სხეულის სხვა ნაწილებისაც. ყოველ დღე დილის 9—1 ს.-დე და საღამ. 5—7 საათამდე, კვირაობით დილ. 9—12 ს.-დე. ღარიბების წამლობა დილ. 9—10 ს.-დე უფასოდ.
ბებუთოვის ქ. 23. ტელეფ. 7—92. 1616

ექიმი ი. ი. ბერიშვილი სწამლობს საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის ავადმყ.: ვასსერმანის რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5$^{1}/_{2}$ ს. ელისაბედის ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 102

ექიმი ე. ი. მინასიანცი შინაგან, ბავშვთა, სპეც. კუჭისა და ნაწლევთა ავადმყ. და საზრდოეი. (სისხლ. ნაკლულ. შაქრის ავადმყ. სისუსტე, ლოთობა, ქარები) ელექ. და ლიბალი ციება. პარიზულ კლინიკ. პროფ. Mathieu. იღებს დილ. 9—11 ს., საღ. 5—7 ს. ტფილისი, მიხეილ. ქ. № 86, ტელ. № 576. 1041

ექიმი შ. ა. მიქელაძე 15 ივნისიდან მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ. საათიდან 7 საათამდე ახალ ბინაზე—მიხაილოვის პროსპექტი № 117. ტელეფონი 816.

ექიმი ქალი ნინო რუხილაძე. გადავიდა მოსკოვის ქუჩა № 9. იღებს დილით 9—2 ს., საღ. 5—7 ს.

ქ. გორში
(დოკტორანტი).
ექიმი გ. დ. წინამძღვრიშვილი ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა და სამედიცინო ინსტიტუტის შინაგან სნეულებათა კლინიკისა.
შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. ავადმყოფობანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სპეციალურად. იღებს დილის 9—12 საათამ. გორის სამკურნალოში, დანარჩენ დროს სახლში. სამეფო ქუჩა ქალების გიმნაზიის პირ. 1671

ექიმი პავლე არდაზიანი შინაგანი და ბავშვების სნეულობა. ავადმყოფებს მიიღებს დილის 12—2 ს. საღამოს 5—7 ს. ალექსანდრეს ქუჩა, № 3. 1022

ქართული პრესა

„სიმართლის ხმა" ბოლოსა და ბოლოს იძულებული გახდა გამოტეხილიყო, რომ მან გელოვან-გეგეჭკორის საქმეზე ვრცელი დადგენილება არ დაბეჭდა. იგი ამბობს:

„საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ ვრცელი დადგენილების ტექსტი ჩვენ ჯერ სასამართლოსაგან არ მიგვიღია".

ბ-ნ ევგენი გეგეჭკორსა სთხოვეთ, ის გადმოგცემთ, არ შეიძლება არა ჰქონდეს. ან გეგეჭკორის მოსამართლეებს მოსთხოვეთ, დადგენილება გამოგზავნონ. მანამდის კი შეგიძლიათ ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი ტექსტით დაკმაყოფილდეთ.

* *

„სიმართლის ხმა"-ს ჩვენი თანამშრომლის ბ. არ. ჯ—შვილის წერილები არ მოეწონა, თუმცა მაინც იძულებული გახდა ეღიარებინა, რომ

> არ. ჯ—შვილი აქ თითქოს საღ მოსაზრებას იცავს.

საღ მოსაზრებას იცავს, მაგრამ მაინც მისი აზროვნება უაღრესად ნაციონალისტურია.

ეს ცოტა არ იყოს ძალიან წააგავს ბ-ნი „შორეულის" მტკიცებას. იგი ამბობდა:

„მართალია პოლონელ მარქსისტებს აქვთ პროგრამაში პუნქტი ავტონომიისა".

ეს ერთი მტკიცება, რომელსაც მოსდევს მეორე:

„მაგრამ იგი ისე შორსაა ჩვენ მამულიშვილთა ავტონომიისაგან, როგორც ცა დედა-მიწისაგან."

მაშ ასე, საღი მოსაზრებაა, მაგრამ მაინც ნაციონალისტურია, პოლონელ მარქსისტებს აქვთ პროგრამაში ავტონომია, მაგრამ ის სულ სხვანაირი ავტონომიაა. ამნაირის ლათაიებით ჰსურთ დამსხვრეული პარტიული კერა აღადგინონ. სხვა რომ ვეღარაფერს გამხდარან, ხალხის უცოდინარობით სარგებლობენ და ატყუებენ, მართალია პოლონელ მარქსისტებს ავტონომია სწამთ, მაგრამ ის სულ სხვანაირი ავტონომია არისო. ნეტავი ვიცოდეთ, რანაირია ეს ავტონომია? წითელი და ყვითელი ავტონომია არსად არსებობს. ავტონომია ავტონომიაა. არსებობს ეროვნულ-ტერიტორიალური ავტონომია და უკანასკნელ ხანებში სოციალ-დემოკრატების ლაბორატორიაში გამომცხვარი ექსტერიტორიტორიალური ავტონომია. პოლონელი მარქსისტები ამ უკანასკნელს ემხრობიან და არა პირველს? სთქვით, ნუ გრცხვენიანთ. რახან ტყუილებზე მიდგა ჯერი, ბარემ ბოლომდის იტყუეთ.

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **პოლიტეხნიკუმი.** ამ დღეებში უკანასკნელი კრება ჰქონდა მთავარ საპოლიტეხნიკუმო კომიტეტის სატეხნიკო კომისიას, რომელმაც დაადგინა: 1) შუამდგომლობა აღძრას მთავარ კომიტეტის წინაშე, რათა პოლიტეხნიკუმის დირექტორად ახლავ მოიწვიოს ისეთი პირი, რომელიც გამოცდილია უმაღლეს სასწავლებლების საქმეში და რომელსაც შეეძლება სარგებლობის მოტანა პოლიტეხნიკუმის შენობის აგების დროს; 2) შუამდგომლობა აღძრას ქალაქის გამგეობის წინაშე, რათა პოლიტეხნიკუმის მხარეს მდებარე სასაფლაოები ახლავ გაუქმებულ იქმნეს და პოლიტეხნიკუმისა და სასაფლაოების საზღვარზე გავლებულ იქმნეს ქვითკირის დიდი კედელი; 3) შუამდგომლობა აღძრა ქალაქის საბჭოს წინაშე, რათა ძველ სასალახოს ზოგიერთი შენობა მოსამსახურეთა შტატის მოსათავსებლად დროებით იაფ. ფასში დაუთმოს პოლიტეხნიკუმის სააღმშენებლო კომისიას.

◆ გუშინ, 4 თებერვალს, ვერის ეკლესიის ეზოში მიწას მიაბარეს გარდაცვლილი **ბორის სპირ. ძე ესაძე.** მიცვალებულის წირვა გადახდილ იქმნა ალექსანდრე ნეველის სამხედრო ტაძარში, წირვას, აგრეთვე დასაფლავებას ხალხი ბლომად დაესწრო.

◆ **ქალაქის ლომბარდის** მოსათავსებლად განზრახულია საკუთარ ოთხ-სართულიან სახლის აგება.

◆ **ქალაქის დამფასებლებად.** ქალაქის საბჭომ აირჩია ბ-ნნი: მერაბოვი და ბაღდასაროვი.

◆ **ახალი გაზეთი.** გუბერნატორმა ნება დართო გენერალ-ლეიტენანტის მეუღლე ა. ი. რაზუმოვსკისას, გამოსცეს ტფილისში რუსულ ენაზე „ამიერ-კავკასიის საქორწინო გაზეთი".

◆ **ქალაქის გამგეობამ** დაადგინა, შენიშვნა გამოუცხადოს ქალაქის მთავარ მიწის მზომელს მელიქ-ალახვერდოვს, რომელმაც 24 საათის განმავლობაში ერთსა და იმავე საქმის გამო სამი სრულიად სხვა და სხვა ცნობა მისცა.

◆ დეპეშათა პეტერბურგის სააგენტო იტყობინება: იუსტიციის მინისტრის ამხანაგის ვერიოვკინის თავმჯდომარეობით შესდგა საუწყებათაშორისო თათბირი, რომელიც შეიმუშავებს კავკასიის ადგილობრივ მცხოვრებთა სასამართლო მოსალოდნელ ცვლილებათ.

საზოგადოებანი და კრებები

◆ **კავკასიის ქალთა საზოგადოების** კრება დანიშნულია 20 თებერვლისათვის კავკასიის სამკურნალო საზოგადოების შენობაში.

◆ **ქალაქის საბჭოში.** 3 თებერვლის კრებაზე საბჭომ სხვადასხვა კომისია აირჩია. საპენსიო კომისიის წევრებად არჩეულ იქმნენ შემდეგი ხმოსნები: ი. ს. ალიხანოვი, პ. ს. ვასილიევი, ვ. დ. მამულოვი, მ. ი. მარტიროსოვი, ა. ნ. მილოვი, ბ. ა. პოპოვი და პ. ი. სოსინი. სატყეო-საბაღოსნო კომისიის წევრებად არჩეულ იქმნენ: ი. თ. ჯანაგოვი, ს. ა. ქსავერიევი, ა. ფ. ქობულაშვილი, მ. ი. სვეშნიკოვი, გ. ზ. თამამშევი, ი. ა. თამამშევი, ი. ა. უტიშევი, ს. თ. ხუნდაძე და ს. თ. ქრილაშვილი. სახალხო ჯანმრთელობის კომისიის წევრებად აირჩია: მ. ზ. ავთანდილოვი, თ-დი ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი, მ. ნ. ვესელოვზოროვი, ი. თ. ჯანაგოვი, მ. ზ. ქანანოვი, დ. ი. ყარალანოვი, მ. ვ. ლუნკევიჩი, ბ. ა. პოპოვი, გ. ი. თოიძე, ა. რ. ფიშერი და ნ. ლ. ხარაზიანი.

დეპეშა

(საკუთარ კორესპონდენტისაგან).

კიევი. შევჩენკოს იუბილეს დღესასწაული ქალაქში აკრძალულია. ადმინისტრაციამ წინადადება მისცა სამღვდელოებას, ნება არ მისცენ ხალხს პანაშვიდების გადახდისა.

ტფ. ქალაქის საბჭო

3 თებერვლის სხდომა.

კრება იწყება საღამოს რვა საათნახევარზე ქალაქის მოურავის მოადგილის თ-დ **არღუთინსკი-დოლგორუკოვის** თავმჯდომარეობით.

ხმოსნები მთელს 2 საათს კამათობენ ქალაქის 1914 წ. **ხარჯთ-აღრიცხვის** ბალანსის გამო. როგორც ვწერდით, საბჭომ ხარჯთ-აღრიცხვის მუხლობრივი განხილვა დაასრულა და დიდს საგონებელში ჩავარდა ბალანსის შედგენის საკითხის გამო. საქმე ის არის, ხარჯთ-აღრიცხვაში ნავარაუდევი ხარჯი შემოსავალს აღემატება 700.000 მანეთით და ბალანსის გამოსაყვანად საჭიროა ეს თანხა რომელიმე მუხლში მოაქციონ.

ხანგრძლივ კამათის შემდეგ საბჭო ადგენს, შემოსავალში შეიტანოს 250,000 მან., რომელიც გადასახადების დროზე შეუტანლობის გამო მცხოვრებთ ჯარიმად უნდა გადახდეს, ხოლო ბალანსისთვის საჭირო დანარჩენი ფული მიაწეროს დარჩენილ გადასახადებს. საბჭომ ამასთანავე დაავალა სადეფიციტო კომისიას, შეიმუშაოს მოხსენება სესხის აღების შესახებ დეფიციტის გასასტუმრებლად, ვინაიდან ჯარიმებიდანა და დარჩენილი გადასახადებიდან ნამდვილად იმდენი არ შემოვა, რომ მოსალოდნელი დეფიციტი დაიფაროს.

დიდს კამათს იწვევს აგრეთვე საკითხი იმის შესახებ, დაარსდეს თუ არა გამგეობის ორის წევრის ახალი თანამდებობა.

ამ საკითხის გამო საბჭომ ერთის თვის წინად დიდხანს იკამათა, მაგრამ მისი საბოლოოდ გადაწყვეტა ხარჯთ-აღრიცხვის გახხილვის დასრულებამდე გადასდო.

თავმჯდომარე კრებას მოკლედ აგონებს საქმის ვითარებას და დასძენს, რომ ცარიცინში, რომლის ბიუჯეტიც ტფილისის ნახევარს შეადგენს, გამგეობის ხუთის წევრის თანამდებობა არსებობსო.

ხმ. ბაბოვი. მე დიდი წინააღმდეგი ვარ გამგეობის წევრის ორის ახალ თანამდებობის შექმნისა, რადგანაც ამას საჭიროება არ მოითხოვს. ფაქტიურად ჩვენ გამგეობის ოთხი წევრი კი არა გვყავს, არამედ ბევრად მეტი. სასალახოს დირექტორს, მთავარ კონტროლიორს, სასანიტარო სამკურნალო ინსპექტორს, მთავარ ინჟინერს და სხვებს გამგეობის წევრის უფლებანი აქვთ და მათის რიცხვის გამრავლება ზედ-მეტია.

ხმ. სულხანოვი, რომელმაც პირველად აღძრა საკითხი ორის თანამდებობის დაარსების შესახებ, ამტკიცებს, რომ ის პირნი, რომელიც ხმ. ბაბოვმა ჩამოსთვალა, პასუხის მგებელნი არ არიან საბჭოს წინაშე და მთელი პასუხის მგებლობა გამგეობის წევრებს აწევთ თავზეო. შემდეგ ხმოსანს მოჰყავს სტატისტიკო ცნობები იმ ქაღალდებისა, რომელიც გამგეობაში მიდის და ამტკიცებს, რომ გამგეობის წევრნი ამ ქაღალდზე ხელის მოწერასაც ვერ ასწრობენო.

ხმ. გოთუა თხოულობს, რომ გამგეობამ ჯერ მოხსენება შეადგინოს ქალაქის თვით-მმართველობის მოსამსახურეთა მთელი შტატის რეორგანიზაციის შესახებ და შემდეგ ილაპარაკოს ახალ თანამდებობათა შექმნაზე. ხმოსნის აზრით, გამგეობის წევრებს ბუღალტრებისა, ინჟინრებისა და სხვათა სახით მრავალი თანაშემწე ჰყავთ, რომელნიც საქმეს ასრულებენ, ხოლო თვით გამგეობას კი ქაღალდებზე ხელის მოწერის გარდა არაფერი სჭირდება.

ხმ. ი. მ. დოლუხანოვი სასტიკად ილაშქრებს ახალ თანამდებობათა შექმნის წინააღმდეგ და ამტკიცებს, თუ გამგეობა საქმეებს ვერ ასწრობს, ეს მხოლოდ იმით აიხსნება, რომ სამუშაო წესიერად არა აქვს განაწილებულიო. ხმოსანი ეხება ბ-ნ სულხანოვის სასტატისტიკო ცნობებს და ამავ სტატისტიკის მიხედვით ის დასკვნა გამოჰყავს, რომ გამგეობის თვითეულ წევრს დღეში რვა ქაღალდზე უხდება ხელის მოწერაო.

ხმ. ქსავერიევი თხოულობს, დაარსდეს გამგეობის წევრის ერთი თანამდებობა.

დასასრულ საბჭო ფარულ კენჭის ყრით (27 ხმით წინააღმდეგ 26 ხმისა) ნაადრევად აღიარებს გამგეობის წევრთა ახალ თანამდებობის დაარსებას.

ქუთაისის ავ-კარგი

ავი საქმე ემართება ქუთაისს. მთავრობის განკარგულებით აქ პირველ თებერვლიდან მეეზოვეთა ინსტიტუტი უნდა დაარსდეს. მეეზოვე კეთილ-საიმედო და რუსულის მცოდნე უნდა იყოს. ქალაქის გამგეობის ანგარიშით ქუთაისს სულ მცირე 600 მეეზოვე დასჭირდება.

ექვსასი კეთილ-საიმედო და რუსულის მცოდნე კაცის შოვნა ქუთაისში ძნელი საქმეა, თუ ვორონეჟს, ტამბოვს ან სხვა რუსეთის ქალაქს არ მიმართეს ქუთათურებმა. ვთქვათ, კეთილსაიმედო და რუსულის მცოდნე აღმოჩნდა ქუთაისში, მაშინ ამ ექვსასი კაცის შენახვა რანაირად უნდა მოახერხოს ქუთაისის გაძვალტყავებულმა მცხოვრებლებმა.

როცა ჩვენმა ქალაქის საბჭომ თავისი ბიუჯეტი შეადგინა, მისი ხარჯი 400 ათას მანეთს ძლივს გადასცილდა და ამ ხარჯის დასაფარავად ვაი-ვაგლახით მოინახა შემოსავალი.

სულ ცოტა, რომ სთქვას კაცმა, 600 მეეზოვის შენახვას 200 ათასი მანეთი დაჯდება. რანაირად მოახერხებს ქუთაისი ამ ხარჯის გაღებას, ძნელი წარმოსადგენია.

ამიტომ იყო, რომ 27 იანვარს ქალაქის საბჭო ერთხმად ჰგოდებდა და თან გაკვირვებას იყო მიცემული, რამ გამოიწვია მეეზოვეთა ინსტიტუტის დაარსება ქუთაისში, სადაც უკანასკნელ ხანებში არაფერი მომხდარა იმისთანა, რომ ასეთი არაჩვეულებრივი ზომა გამოეწვიოს.

ქალაქის თავის მოხსენება, რომ შუამდგომლობა აღიძრას მეფის მოადგილის წინაშე დროებით გადაიდოს მეეზოვეთა ინსტიტუტის დაარსება, საბჭომ შესცვალა და განსაკუთრებულ დეპუტაციას დაავალა იშუამდგომლოს მეფის მოადგილის წინაშე, რომ ქუთაისისთვის ახალი ხარჯი აუტანელი იქნება და ამიტომ უნდა ეთხოვოს მეეზოვეთა შემოღება რამდენიმე წლით მაინც გადაიდოს.

⁂

ამავე 27 იანვარს ქალაქის საბჭომ განიხილა ნ. ი. ნიკოლაძის წინადადება მილის წყლისა, ტრამვაისა, არხებისა და ქალაქის განათების პროექტისა.

საბჭოს მოხსენდა როგორც ბ-ნი ნიკოლაძის წინადადება ისე ის ცვლილებანი, რომელნიც ამ წინადადებაში შეიტანა ქალაქის გამგეობისა, ფინანსიურ და საალმაშენებლო კომისიების შეერთებულ კრებამ. ეს ცვლილებანი ეხებიან პირველად იმას, რომ ბ-ნი ნიკოლაძის მიერ შემუშავებული პროექტის დადასტურებისა და მოწონების უფლება უნდა ჰქონდეს არა მარტო შინაგან საქმეთა სამინისტროს საალმაშენებლო და სატეხნიკო კომიტეტს, არამედ ქალაქის თვითმართველობასაც, რომელსაც უფლება უნდა მიეცეს ბ-ნი ნიკოლაძის მიერ შემუშავებული პროექტი შემოწმოს და განიხილოს მცოდნე პირთა და დაწესებულებათა დახმარებით. მეორე ცვლილება იმაში გამოიხატება, რომ ბ-ნი ნიკოლაძე პროექტის შედგენის შრომაში თხოულობს 2% იმ თანხიდან, რაც დაჯდება მისი განხორციელება, ხოლო კომისიის აზრით ბ-ნ ნიკოლაძეს უნდა მიეცეს 1$^{1}/_{2}$% შეერთებული კრების აზრით ეს ჯილდო ბევრად მეტია იმაზე, რასაც ითხოვდენ ბელგიის საზოგადოებისა და სხვათა წარმომადგენელნი; გარდა ამისა, შეერთებული კრების აზრით, ბ-მა ნიკოლაძემ ხელშეკრულობის მოწერის შემდეგ, სამი თვის განმავლობაში, უნდა წარმოადგინოს 10000 მანეთის გარანტია ბანკისა და სხვა დაწესებულებისა, რომ საქმე პირნათლად შეასრულებს.

ასეთი გადაწყვეტილობა შეერთებული კომისიისა ქალაქის თავს დეპეშით უცნობებია ბ-ნ ნიკოლაძისათვის ფოთში და თან უთხოვნია ქუთაისში მოსვლა საბჭოს კრებაზე დასასწრებლად. პასუხად ბ-ნ ნიკოლაძეს შემოუთვლია ბ-ნი ილ. ჩიქოვანისათვის, რომ მას, ბ-ნ ნიკოლაძეს, უკან მიაქვს თავისი წინადადება, რადგან ჩემ მიერ წარმოდგენილ პირობებში ცვლილებას ვერ შევიტანო.

ეს საბჭოს მოხსენდა. ზოგიერთი ხმოსანი უკმაყოფილო შეიქნა იმისი, რომ ქალაქის თავმა საქმის დაწვრილებით გაუცნობლად აცნობა ბ-ნ ნიკოლაძეს შეერთებული კრების გადაწყვეტილობა; ზოგიერთმა არც ის მოიწონა, რომ ბ-ნ ნიკოლაძეს გარანტია მოსთხოვეს, იყვნენ იმისთანები, რომელნიც ამბობდენ, ბ-ნი ნიკოლაძე ცნობილი, გამოცდილი კაცია და მის მიერ წარმოდგენილი წინადადება უცვლელად უნდა მიგვეღოვო.

ბ-მა გრ. გველესიანმა დაწვრილებით განმარტა კომისიის მიერ შეტანილი ცვლილებანი ბ-ნი ნიკოლაძის წინადადებაში და ნათელ ჰყო ის აზრი, რომ ვინც უნდა იყოს კონტრაგენტი, ქალაქის წარმომადგენელთ უფლება უნდა ჰქონდეთ მის მიერ წარმოდგენილი პროექტის განხილვისა და დადასტურებისა. ამას გარდა შეუძლებელია ასეთი დიდი საქმე მიენდოს კონტრაგენტს და ქალაქს არავითარი გარანტია არ ჰქონდეს, რომ იგი თავის დროზე და წესიერად შესრულდება.

ბ-ნი გ. ზდანოვიჩიც ამ აზრისაა, ხოლო ჯილდოს შესახებ იგი მომხრეა 2%. საბჭომ ერთხმად მიიღო ბ-ნი ზდანოვიჩის აზრი, რომ ჯილდო 2% დარჩეს, ხოლო ხელშეკრულობაში გატარებული უნდა იყოს ის აზრი, რომ ქალაქის თვითმართველობას უფლება უნდა ჰქონდეს პროექტის განხილვისა და დადასტურებისა და გარანტიის მოთხოვნისა.

ბ-ნი ნიკოლაძეს აცნობებენ ამ გადაწყვეტილებას და, თუ იგი ისურვებს მოლაპარაკების განახლებას, შეუდგებიან ხელ-შეკრულობის შედგენას, თანახმად საბჭოს გადაწყვეტილებისა.

ელ. ხ. ქ.

თელავის შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა

კვირას, 26 იანვარს, საკრებულოს დარბაზში მოხდა საზოგადო წლიური კრება თელავის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობისა. კრებას დაესწრო სამასამდე სული და წვრილი კრედიტის ინსპექტორი ბ. ვიფორსიც.

კრების თავმჯდომარედ ერთხმად იქმნა არჩეულ ესტ. პაატაშვილი. მდივნებად საყვარელიძე გ. ე. და ხირსელი გ. ქ.

გამგეობამ წევრებს წინა-დღითვე დაურიგა ქართულად შედგენილი და დაბეჭდილი წლიური ანგარიში, რომლის მეორე გვერდზე მოთავსებული იყო წევრთადმი მიმართული ფრიად საგულისხმო რამდენიმე მუხლად დალაგებული მოწოდებანი, რომელიც აქვე მოგვყავს:

ა) გახსოვდეთ და არ დაივიწყოთ, რომ თელავის შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა დაარსებულია თქვენი ქონება-ცხოვრებისა, მამულის და სახელოსნოს გასაუმჯობესებლად და რომ ვერსად იპოვით შველა-დახმარებას ამხანაგობის გარეშე.

ბ) გახსოვდეთ და არ დაივიწყოთ, რომ ამხანაგობა გაძლევთ ფულს მარტო თქვენს მამულზე და სახელოსნოზე მოსახმარად, და ისიც დროებით, ამიტომ ნუ მოიხმარ აღებულს ფულს სხვა რამეზე და ვადაზე დაუბრუნეთ ფული ამხანაგობას.

გ) გახსოვდეთ და არ დაივიწყოთ, რომ პირნათლად ფულის გადახდა შეადგენს თქვენს უმთავრეს მოვალეობას, იმიტომ რომ ასეთი პირნათლობა მოუპოვებს ამხანაგობას ხალხში ნდობას და მისცემს შეძლებას პირნათლადვე დაუბრუნოს ფული იმ ბანკებს და კერძო პირებს, ვისგანაც თქვენთვის უსესხნია ფული ამხანაგობას.

დ) გახსოვდეთ და ნუ დაივიწყებთ იმ ძველადვე ცნობილ სიმართლეს, რომ სადაც თანხმობა და სიყვარულია, იქ ძნელი საქმეც გაადვილდება, ძმური, ამხანაგური მოქმედებით პატარა საქმეც გადიდდება და გაძლიერდება. შურითა მტრობით და უთანხმოებით კი აშენებული, გაძლიერებული საქმეც დაინგრევა და დაიფუშება. ამიტომ ერიდეთ და ნუ შეიტანთ საამხანაგო საქმეში შურს, მტრობას, უსამართლობას.

ე) გახსოვდეთ და ნუ დაგავიწყდებათ, რომ თქვენ ამხანაგობას თქვენი ამორჩეული პირები აცნობენ საზოგადოებას და სხვა გარეშე ხალხს და ამიტომ ამოირჩიე ამხანაგობის მოთავეებად გამგეობაში და საბჭოში პატიოსანი, სვინიდისიანი და მართალი პირები, რომელნიც ეცდებიან გააძლიერონ და გააფართოონ თქვენი ამხანაგობა თქვენვე სასარგებლოდ.

ვ) გახსოვდეთ და არ დაივიწყოთ, რომ ამხანაგობის ბატონ-პატრონია საზოგადო კრება, ამიტომ უსათუოდ დაესწარით საზოგადო კრებას, დაუგდეთ ყური ყველა ნათქვამ-ნალაპარაკევს და კენჭის ყრის დროს, შეგნებულად მიემხრე სიმართლეს და სიბოროტე უსამართლობას წინააღუდგ.

წლიური ანგარიშიდგან სჩანს, თუ რანაირ საარაკო ნაბიჯით უვლია ამხანაგობას განვითარებისაკენ წარსულ 1913 წელს. აი ზოგ-ზოგი ის ცნობები, რომელსაც წლიური ანგარიში გვაძლევს. წლის დამდეგს ყოფილა 408 წევრი. წლის განმავლობაში შემოსულა 439 წევრი, გასულა 20, ეხლაითვლება 827 წევრი.

საწევრო გადასახადი წლის დამდეგს ამხანაგობას ჰქონია 799 მ. 64 კაპ., შემოსულა წლის განმავლობაში 3502 მან. 74 კაპ., გასულა 49 მ. 23 კაპ., ახლა რჩება 4253 მან. 15 კ.

ესე რომ შარშანდელ მოგებიდან გადადებულ ათ თუმნიანად და სახელმწიფო შემნახველ კასებიდან 15 წლის ვადით ნასესხევ 8.000 მანეთი ერთად ამხანაგობის ძირითადი თანხა 1 იანვარს ამა წელს შეადგენს 14.353 მ. 15 კ. შესანახად შეტანილი ფული წლის დამდეგს ყოფილა 1032 მან. წლის განმავლობაში შემოსულა 12547 მან. 14 კ., წლისავე განმავლობაში გასულა 4851 მან. 40 კ., მიმდინარე წლის პირველ იანვარს არის შესანახად შემოტანილი ფული სულ 8727 მან. 74 კ.

სახელმწიფო ბანკიდან უსესხნია 23990 მან. და წლის ბოლოს სულ გადაუხდია. ესე რომ, პირველ იანვარს ამხანაგობას აღარა ჰმართებს რა სახელმწიფო ბანკისა. კერძო ბანკებიდან წლის განმავლობაში უსესხნიათ 13.404 მან. 15 კ., გარდაუხდიათ 5050 მან., პირველ იანვარს ჰმართებს 8354 მ. 15 კ.

წლის დამდეგს გასესხებული ყოფილა 6.143 მან., წლის განმავლობაში გაუსესხებიათ 64.556 მან. აქედან წევრებს გადაუხდიათ 42164 მან., წლის დამლევს ჰმართებთ 28.535 მან.

შაბიამანი, გოგირდი, საშხაპუნო მანქანები საბერველები უყიდნიათ 5199 მან. 20 კ., გაუყიდნიათ 4150 მან. 99 კ. გასასყიდად რჩება 1048 მ. 21 კაპ.

წლიური შემოსავალი ყოფილა 5399 მან. 43 კაპ. გასავალი 3933 მან. 62 კაპ. დარჩათ წმინდა მოგება 1773 მანეთი, რომელიც ასე გაანაწილა კრებამ:

ძირითად თანხას მიუმატეს 709 მ. 20 კ., სათადარიგოს 177 მ. 30 კაპ., საშუამავლო მოქმედებისთვის კადასდეს 500 მან., მოსკოვის სახალხო ბანკის აქციების შესაძენად 250 მან., საკუთარი შენობის ასაგებად 106 მ. 50 კ., დაქირავებულ მოანგარიშეს საჩუქრად მისცეს 30 მანეთი.

ამასთანავე შარშანდელი საზოგადო კრების დადგენილების თანახმად 200 მანეთი, რომელიც გამგეობამ წლის ბოლოს სასყიდლად მიიღო, გადაეცა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამ. საზოგადოების თელავის განყოფილებას.

მთელი წლიური შემოსავალი ყოფილა 112908 მან. გასავალი 112758 მ.—49 კ., საყურადღებოა რომ 1 იანვარს 1913 წ. ბალანსი ამხანაგობისა იყო 7138 მან. 83 კაპ., რომელშიაც 5000 მან. სახელმწიფო ბანკისა იყო ე. ი. 34 პროც., ეხლა კი, ესე იგი 1 იანვარს 1914 წელს ამხანაგობასა აქვს საწარმოოდ 31860 მ. 75 კ., აქედან სახელმწიფო შემნახველ კასებისა მხოლოდ 8000 მან. ე. ი. 25 პროც., დანარჩენი კი, ე. ი. 23860 მ. 75 კ., თითონ ამხანაგობის ქონებით არის ნაშოვნი. ამხანაგობას შეუძენია ამერიკული საფულე-ყულაბები, რომელიც ფულის შესანახად შემომტანებს უფასოდ ურიგდებათ. ეს გარემოება კი ძალიან ხელს უწყობს ამხანაგობას ფულის შოვნაში. ისიც არ არის მეტი ვიცოდეთ რისთვის უსესხნიათ ფული წევრებს: მამულის შესამუშავებლად გაცემულა 30083 მან., ხელოსნებს საქონლის შესაძენად გაუტანიათ 22115 მ., მამულის საყიდლად გაცემულა 1954 მანეთი; ხარ-კამეჩის და ცხენების სასყიდლად გაცემულა 2459 მან., მუშა ხელის საქირაოდ მკისა და რთვლის დროს

23 მან. და სხ. და სხ. სულ გაცე- ელა 1295 სესხი 64556 მანეთი.

ამხანაგობას საკამისიოდ აქვს მიღე- ელი სხვადასხვა ფირმების ფუთნები. ბიამანი და გოგირდი წლეულ ჩვენ ნამემამულე დ. ღამბაშიძესაგან უკვეთიათ, იქვე კრების დროს ამსწრეთ აჩვენეს დ. ღამბაშიძისგან ნიმუშოდ გამოგზავნილი გოგირდი შაბიამანი და განუმარტეს მისი ტესობა სხვა გოგირდთან. ესეც ცოდიხაროთ, რომ დღეიდგან გახ- ისა (1 თიბათვე 1912 წ.) ამხანა- ბა საქმეს ქართულ ენაზე აწარ- ებს.

ამხანაგობამ წლევანდელ საზო- ადო კრებაზე სხვათა შორის და- ეგინა შეიძინოს მოსკოვის სახალხო ანკის აქციები ათამდე.

ძლოს წევრს, თუ ქონება ხელს წყობს, გაიტანოს 300 მ. უგირაოდ ა 600 მ. გირაოთი. თუშ-კახეთის მეურნეო საზოგადოებას, რომე იც ამხანაგობის წევრად იდვლება, აუდოდეს ნდობა 2000 მან., რის შე- ახებაც შესაფერ შუამდგომლობის იძვრა დაავალეს გამგეობას სათანა- ო მთავრობის წინაშე. გამგეობასვე ავალა იშუამდგომლოს მოკლე ადიან სესხის მომატების შესახებ ახელმწიფო ბანკის წინაშე 50.000 ნეთამდე. მომავალი წლის ხარჯები, ავარაუდევი გამგეობისაგან 2680 ახეთამდე, კრებამ დაამტკიცა.

დ—კო.

შესწორება

გომის ბოქაულის ჩიკვაიძის შესახებ.

სახალხო გაზეთის“ მე-1104 ნო- ში, სხვათა შორის, ბოქაულ ჩი- ვაიძის შესახებ გაკვრით მოვიხსე- იე და ზოგიერთი ფაქტები სწორედ რ არის აღნიშნული. საჭიროა შე- წორდეს.

ს გათახსირებული და ნაწამები ტატიშვილები პირადად ვნახე, გა- ოველაპარაკე და აღმოჩნდა შემ- ეგი:

როდესაც ბერძენაულის კანცელა- იაში სვამდნენ, ბოქაულმა დათა ტატიშვილს სთხოვა,—ათი თუმანი ასესხეო, მან შეჰფიცა,—არა მაქვსო. ვიდრე სმას დაიწყობდნენ, გარდა ათა ტატიშვილისა, სამთავეს ხან- ლები ჩამოართვეს. სმის დროს ერთს ტრაჟნიკს ბოქაულმა ანიშნა, ტრაჟნიკმა დათა ტატიშვილს ჩხუბი ტეხა და გინებით იარაღის წარ- ევა დაუწყო, ამ დროს ბოქაულიც ა, ხანჯალს აძრობს; ტატიშვილმა ნჯლის პირს ხელი წაავლო, ხელი რა, გააკავეს. მოხდა ძალ-მო- რეობა.

დანარჩენი ტატიშვილები, კონდა- ებით ცემა რომ დაუწყეს, ტახტ- ვეშ შეძვრნენ, იქიდან გამოათრიეს, ლზე სცემეს.

ბოქაულიც სცემდა, ყვიროდა, გინებოდა, ილანძღებოდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ ძველი ზირი ყოვლად უდანაშაულო— აალილავეს.

ბერძენაულიდან რომ წაიყვანეს, ოქაულს უნდოდა მდ. სურამულაში ეხ და ფეხ გაეყვანა, მაგრამ მათ ისზე ურმები მოდიოდნენ, მით გაი- ეს.

მის ბოქაულის კანცელარიაში ტიშვილებს ბ-ნ დიდებულიძემ ური შეუგზავნა. ბოქაულმა დიდე- ულიძე გალანძღა, როგორ თუ შენ ური მოიტანეო, და ეს პური სტრაჟ- ნიკებს გადასცა. აგრეთვე თავ. ნ. ტიონმაც შეუგზავნა ხორცი, ური და ესეც სტრაჟნიკებს გადა- ცა,—აგრე მშივრები უნდა დავხო- ცოთ, როგორც ძაღლები, ემუქრება ოქაული ტატიშვილებს.

ტატიშვილები შეკრულები არიან, ძირსა ყრიან, ბოქაული თავმომწო- ნეთ თავს დასტრიალებს და მათ წი- აშე იკვეხის: „ნახე, როგორი ბიჭი ვარო, მე ჩიკვაიძეს მეძახიან, იქ- ება ნეფედლოვი გეგონეთ, შარშან რომ პანდურ ამოკრული გამოაგდეთ ვილეთიდგან? აკუწმაწურ სიტყვებს ით შეახლის.

აქედან ხაშურს გაგზავნის ქვეითი ებიავეს. გზაში ერთს რუზე რომ ამოაბრტებიან, დათა ტატიშვილი ჩა- რდება, დასველდება, დაჭრილი ელიც დაუსველდება. შეუხვეველი ქვს. ამ დასველებულს ხაშურამდის, ასაკვირველია, ამისთანა ყინვაში ამოსს ზედ შეჰყინავს, ჩამტვრე- ლი გვერდები და დაჭრილი ხელიც აუძნელდება.

ხაშურის საბოქაულო კანცელა- იის სატუსაღოში შეაგდებენ, იქაც ოქაული, სტრაჟნიკები ტატიშვი- ებს დაამცირებენ, ცუდად მოიხსე- ებენ, დაემუქრებიან, აი თქვე ასეთ- ამეთო და სხვ.

აქედან სურამში აიყვანენ გამომძიებელთან, გამომძიებელი ეტყვის მათ, მე არ შემეხებაო, ეს ცხინვალის გამომძიებლის საქმეაო.

აქედან რკინის გზით ქარელამდის ჩაიყვანენ, იქაც საბოქაულოში იგივე დამცირება, შეგინება.

აქედან ცხინვალის საბოქაულოს კანცელარიაში ამოაყოფინეს თავი. ქვეითი გაისტუმრეს. იგივე დამცირება, გინება, ლანძღვა, გათახსირება უფრო მეტი.

გამომძიებელთან შეგზავნეს, აქაც გამომძიებელმა იგივე უთხრა, რადგან ჩემს რაიონში არაფერი მოხდა, ამიტომ მე არ შემეხებაო.

აქედან ისევ სურამის საბოქაულოში გაგზავნეს და, რაც მათ გათახსირება გადახდათ, ეს, ჩემო მკითხველო, ჩვენს მტერსაც ნუ მისცეს.

19 იანვრიდან დაწყობილი 28 იანვრამდე ტატიშვილები ამ გათახსირებაში და წამებაში იყვნენ და ბოლოს სურამის გამომძიებელმა გაანთავისუფლა.

ერთი ტატიშვილი ხაშურში დაწვა, ვეღარ იარა, დანარჩენები წამოვიდნენ სახლში. დათა ტაშიშვილი ნანობდა, ჩვენ ეს საქმე არ მოგვივიდოდა რომ ის ათი თუმანი ბოქაულისთვის მიმეცა, რომელიც მთხოვა, რა ვიცოდი, რომ ასე გაგვიმეტებდნენ.

მიჰმართეს გუბერნიის მარშალს, რომ ამისთანა უსამართლობისაგან და ძალმომრეობისაგან დაეცვათ ტატიშვილები.

გუბერნიის მარშალმა გორის მაზრის თ.-აზნ. წინამძღოლს თ-დ თუმანიშვილს გადასცა ამ საქმის გამორკვევა.

გორის მაზრის თ.-აზნ. წინამძღოლი ბრძანებს, არ ვიცი, გამოძიება რას აღმოაჩენს, მაგრამ ბ-ნი ჩიკვაიძე კი, როგორც ბოქაული,—კარგიაო.

Legatns.

წერილი ხარკოვიდან

ორშაბათს, 27 იანვარს, ხარკოვის უნივერსიტეტის აუდიტორიაში პროფესორ სავვას ხელმძღვანელობით სტ. ალ. წერეთელმა წაიკითხა რეფერატი „საქართველოს რუსეთთან შეერთების“ შესახებ. რეფერატს დაესწრო თითქმის ყველა ადგილობრივი ქართველი სტუდენტი; იყვნენ აგრეთვე რუსის სტუდენტები და თავისუფალი მსმენელი ქალები. რეფერატის დასაწყისში სტ. წერეთელი შეეხო იმ გასაოცარ ბრძოლას, რომელსაც საქართველო საუკუნოების განმავლობაში ეწეოდა მაჰმადიანთა წინაამდეგ თვისი ეროვნებისა და რჯულის დასაცავად. იგი შეეხო დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის ბრწყინვალე ხანას და შემდეგ გადავიდა თემაზე.

„ისტორიული წყაროების მიხედვით, სთქვა რეფერენტმა, საქართველოს მეფეების რუსეთის იმპერატორებთან ოფიციალური დამოკიდულება დაიწყო მე-15 საუკუნიდანო“.

რეფერენტი განსაკუთრებით შეჩერდა მეფე ვახტანგ მე-6 და პეტრე დიდის ურთიერთობაზე და ხაზგასმით აღნიშნა -ის გულუბრყვილობა, რომელსაც ქართველთა ხსენებული სახელგანთქმული მეფე რუსებისადმი იჩენდა. აგრეთვე ხანგრძლივათ შეჩერდა რეფერენტი ეკატერინე დიდის დროის ქართველ-რუსთა დამოკიდებულებაზე. ვრცლად გააცნო დამსწრეთ 1783 წ. ტრაქტატი, რომლითაც რუსეთი სამუდამო მფარველობას აღუთქვამდა ერთმორწმუნე ქართველ ერს. „საუბედუროდ, სთქვა რეფერენტმა, აღთქმული მფარველობა არასოდეს არ განხორციელებულა, ხოლო რუსეთთან დაახლოვებით გულმოსული სპარსეთი შესაფერ დროს ეძებდა საშინელი შურისძიებისთვის, და ეს დღე შურისძიებისა იყო 11 ენკენისთვე 1795 წ., როდესაც აღამაჰმადხანის ურდოებმა ცეცხლსა და მახვილს მისცეს ტფილისიო“.

რეფერატში აღნიშნული იყო აგრეთვე საქართველოს მდგომარეობა, როდესაც პავლე I ჯერ გულ-გრილობას იჩენდა საქართველოს მიმართ, ხოლო ბოლოს კი არაჩვეულებრივი სისწრაფით იჩქაროდა მის შემოერთებას.

რეფერენტმა საკმაოდ დაახასიათა ამ დროის საქართველოს უმწეო მდგომარეობა და გადავიდა ალექსანდრე I ხანაზე, რომლის დროსაც მოხდა სამუდამოდ საქართველოს რუსეთთან შეერთება. რეფერენტი შეეხო იმ ბოროტმოქმედებათ, რომელნიც მრავლად ჩაიდინეს საქართველოში განსაკუთრებით რუსეთის პირველმა მოხელეებმა, გაკვრით მოიხსენია საქართველოს დღევანდელი ფრიად შევიწროებული მდგომარეობა და რეფერატი შემდეგი სიტყვებით დაამთავრა: „რუსეთში ყოფნის დროს არა ერთხელ მსმენია: საქართველოს რუსეთისაგან განცალკევება ჰსურს, იგი სეპარატიზმისაკენ მიისწრაფვის, მაგრამ ეს ყოველივე სიმართლეს მოკლებულია; ქართველ ხალხს ჰსურს მიიღოს მხოლოდ ის თვითმართველობა, ურომლისოდაც მისი სიცოცხლე შეუძლებელია, მისი ეროვნული შემოქმედების, კულტურის და საზოგადოთ ეროვნული ცხოვრების აღორძინება, და რომლის დროსაც შეიძლება მხოლოდ ძმური კავშირი დაწესდეს რუსეთის იმპერიაში მოსახლე ეროვნებათა შორის“.

სტუდენტები ტაშის ცემით მიეგებენ სიტყვის დასრულებას, მიუხედავათ იმისა, რომ უნივერსიტეტში აკრძალულია რეფერატის კითხვის დროს ტაში.

რეფერენტს უპასუხეს პროფესორმა სავვამ და ერთმა სტუდენტმა. პირველმა გამოსთქვა ის აზრი, ვითომც რუსების მაშინდელი მდგომარეობა ისეთი იყო, რომ მას სხვა გზით მოქმედება არ შეეძლო, ხოლო სტუდენტმა სთქვა, რომ ქართველი ხალხის მდგომარეობა მაშინ გაუმჯობესდება, როდესაც რუსეთის იმპერია თავს დაახწევს დღევანდელ მდგომარეობას. რეფერენტმა ორივეს პასუხი მისცა.

30 იანვარს ქ. ხარკოვში გაიმართება საღამო ქართ. სათვისტომოს სასარგებლოდ.

გრ. იმერელი.

მცირე შენიშვნა

(ჟურ. „ცხოვრებისა და მეცნიერების“ გამომცემელ წრეს)

საჭიროა და მასთან დიდად სასარგებლო თქვენი განზრახვა; დროა, მეოცე საუკუნეში მაინც ქართულ ენაზე შემუშავდეს მეცნიერული ტერმინოლოგია. მაგრამ საუბედუროდ თქვენ მიერ გამოცხადებულ „კრებულის“ შინაარსში ერთ ისეთ სიტყვას ვკითხულობთ, რომლის შემოღება, ჩვენის ღრმა რწმენით, დიდ ზიანს მოუტანს საზოგადოდ ტერმინოლოგიის შექმნას. მხედველობაში გვაქვს სიტყვა „რადი“. არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ ის საანბანო ჭეშმარიტება, რომ, როდესაც რომელიმე მეცნიერულ ტერმინს ვაქართველებთ, თუ ეს ტერმინი ანუ სიტყვა ქართულ ლიტერატურაში არ მოიპოვება, მაშინ უცხო სიტყვა, უცხო ტერმინი იმ ენიდან უნდა გადმოვიღოთ, სადაც სიტყვა შემუშავდა. „რადიუმი“ საფრანგეთში აღმოაჩინეს, სახელდობრ „სორბონაში“ და პირველად ამ ნივთიერებას კიურიმ უწოდა სახელი. ფრანგების მიმზგავსებით ინგლისელები და გერმანელებიც ფრანგულ ორთოგრაფიით სწერენ ამ სიტყვას და გამოთქმაც თითქმის ერთი და იგივეა. თუ რუსებმა ეს სიტყვა ი—თ დააბოლოვეს, ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენც ასე დავაბოლოოთ. თითქმის ყველა ქიმიური ტერმინი, რომელიც ium-ით ან და yum-ით თავდება, რუსებმა ი—თ დააბოლოვეს, მაგრამ ჩვენ რომ ამ კანონს მივსდიოთ, ბევრ აბსურდულ სიტყვას შევქმნით. ჩვენის აზრით radinm-ს ქართულად ანუ „რადიუმი“ უნდა დაუძახოთ, ე. ი. გამოვსთქვათ ისე, როგორც იწერება; ან კიდევ როგორც ფრანგები გამოსთქვამენ „რადიომი“. იმედია ამ მეგობრულ შენიშვნას უყურადღებოთ არ დასტოვებთ.

ე. ალშიბაია.

პატარა ფელეტონი

მიაღწევენ საწადელს?

პეტერბურგის გაზ. „რეჩში“ საყურადღებო წერილია მოთავსებული სახელმწიფო სათათბიროს მიმართ; იგი ეხება უწმინდესი სინოდის და ახალშენების მომწყობ კომისიის მოღვაწეობას. ტურგა-ოლტაის მხარეში ყირგიზებსა და მართლ-მადიდებელ რუსის გლეხობას ასახლებენ. სინოდი ურჩევს ამ დასახლების მომწყობ მოხელეებს, მიწა ისე უნდა დაარიგოთ, ყირგიზების რიცხვი მართლ-მადიდებელ გლეხებს რიცხვის ნახევარზე ნაკლები იყოსო. მაშინ ყირგიზობა, როგორც უმცირესობა, უმრავლესობას ძალას დაემორჩილება და მართლ-მადიდებლობას აღიარებსო.

ამ ამბავმა გამახსენა ჩემი წარსული მოღვაწეობა ყაზანის გუბერნიაში. 1899 წ. შიმშილობის დროს იქ ნათლად დავრწმუნდი, რა შედეგი მოჰყვება ხოლმე ძალად ჩანერგილ მართლ-მადიდებელ რწმენას.

თათრების ერთ დიდ სოფელს ვეწვიე და გლეხებს გამოუცხადე ყრილობაზე, რომ დავალებული მაქვს იმათ სოფელში უფასო სასადილო გავხსნა და ვთხოვე ამ საქმეში დახმარება აღმოეჩინათ ჩემთვის. წინდაწინ გადაწყვეტილი მქონდა, რომ ჩემ განზრახვას სიამოვნებით დაუხვდებოდა ხალხი და მხნე დახმარებას გამიწევდა, რადგან საქმე თვით მის გამოკვებას ეხებოდა. სიტყვა დავასრულე და ყრილობას თვალი მოვავლე. პასუხად—სრული სიჩუმე იყო. გავკვირდი. ერთი წუთის შემდეგ წინ წამოდგა უცნობი გლეხი, ცალ-ხელა, მხნე გარეგნობის ვაჟკაცი, მრისხანე თვალები მომაპყრა და მარჯვენა ხელის რაღაც დარჩენილ ნაწყვეტის ჰაერში ქნევით ისე დასჭექა, რომ ჩემ გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა. „რა გსურთ ჩვენგან, რომ ჩვენ დაუკითხავად და დაუპატიჟებლად მობძანებულხართო. ჩვენი გამოკვება გენატრებათ? ნუ თუ არ იცით, რომ უბრალო ჭიასაც აქვს თავისი გამოკვების უნარი, უთქვენოდ ცოცხლობს, და ჩვენ ხომ ჭიები არა ვართ, ადამიანები გახლავართ და თქვენ დაუხმარებლად კარგად გავძლებთ. ხომ ხედავთ, მე ცალ-ხელა კაცი ვარ-ამ ცალი ხელით ვმუშაობ სამჭედლოში და მადლობა ღმერთს—ისე არ მოკირს, რომ თქვენ დახმარებას შევნატროდეო“.

როცა მრისხანე მოლაპარაკემ სიტყვა დაასრულა, თავ-მოყრილ ხალხს თვალი მოვავლე. ყველას თვალში თანაგრძნობა იხატებოდა. გამოუცხადე ყრილობას, რომ ძალით არავის გაბედნიერება არა მსურს და მოვშორდი იმ ადგილს.

ძალიან საგულისხმიერო იყო ჩემთვის იმის შეტყობა, თუ რად დამიხვდა ასე უკმეხად ეს დამშეული თათრის ხალხი. გავიგე სად ჰქონდა ცალ-ხელას ბინა და სახლში ვეწვიე. აქ უფრო ზრდილობიანად დამხვდა, რადგან თათრები სტუმართ-მოყვარე ხალხია; ოთახში შემიყვანა. სასაუბროდ დავსხედით. გამოუცხადე ჩემი გაკვირვება, რომლის საპასუხოდ შემდეგი საყურადღებო სიტყვები მოვისმინე: „წინა დროებშიაც მოდიოდნენ ჩვენთან თქვენისთანა სტუმრებიო, მითხრა მასპინძელმა—ვითომ და ჩვენდა სასიკეთოდ მოღვაწეობა ჰსურდათ: გვიხსნიდენ სკოლებს, გვიმართავდნენ სასადილოებს, მაგრამ მალე შევატყეთ, რომ ეს ყველა ფერი თვალთმაქცობა იყო: ჩვენი გარუსება და მართლმადიდებლობაში გადაყვანა სურდათ და სხვა არაფერი. მთავრობის მოხელეები იყვნენ და ყველაზე ადრე ჩვენ ბავშვებს ჩასჭიდეს ხელი, ისეთ რამეებს უქადაგებდნენ, რომ ბოლოს და ბოლოს შევვაძულეს მათი სკოლები და სასადილოებიო. ხალხი ისე გარისხდა, რომ მთელი ერთი ფურგონი, სკოლების ზარებით დატვირთული, გზაში გააჩერა, მილეწ-მოლეწა და ზარები მიჰფანტ-მოჰფანტა ყვირილით: „რას გვატყუებთ—ეს ზარები სკოლებისათვის კი არა, ჩვენი ჯამებისისათვის მოგიმზადებიათ, გსურთ ზედ ჩამოჰკიდოთ და მართლმადიდებელ ეკლესიებად გადაქციოთო!“.

— გვაპატიეთ, უცხო სტუმარო,— დასძინა ჩემმა მასპინძელმა,—მე თქვენ სრულებით ვერ გიცნობთ, მაგრამ როგორი ნდობა უნდა მქონდეს მთავრობის მას შემდეგ, რაც მინახავს და გამომიცდიაო.

მე ვუპასუხე, რომ არა მთავრობის, არამედ კერძო საზოგადოების მონდობილობით ვარ მოსული, მაგრამ ვხედავ, რომ საქმე ისე ყოფილა წამხდარი, რომ იმის გამოთელება, ნდობის აღდგენა შეუძლებლად მიმაჩნია—და გამოვეთხოვე ჩემ მასპინძელს.

შემდეგ დავბინავდი თათრების სხვა სოფელში, სადაც ნაცნობები მყავდნენ და სასადილო იქ გავხსენი.

კარგად გავეცანი ყაზანის თათრებს. ხალისიანი, დამოუკიდებელი, თავისუფალი მიხვრა-მოხვრის ხალხია. იმათ შორის არ ყოფილა ბატონყმობა და არ სჩანს მონობის დამამცირებელი, გესლიანი ადამიანის გულის გამხრწნელი, კვალი; თავი მაღლა უჭირავთ და როგორც თავის სწორს ისე გეპყრობიან.

ყაზანის თათრებს, რომელთაც არა აქვთ საყურადღებო წარსული, არა აქვთ განვითარებული მწერლობა, საუკუნეთა განმავლობაში გარუსება ვერ მოუხერხეს, და ნუ თუ უნდა გვეშინოდეს ამ გარუსებისა ჩვენ, ქართველობას?

დავრწმუნდი, რომ ეს შიში უნიადაგოა ჩვენში: ძალმომრეობით ადამიანის გარდაქმნა შეუძლებელია. რად უნდა ეშინოდეს მათრახისა იმ ქართულ ენას, რომლის თავზე რამდენიმე დიდებული იმპერიის მათრახებმა განვლო და იგი დღეს მაინც იმდენი ძალის შემცველია, რომ თვის სალაროში მსოფლიო დიდებულ გენიოსთა ღრმა ნაფიქრ-ნაგრძნობის გამოსახატავად შესაფერ ღრმა აზრიან და გრძნობიერ სიტყვებსა ჰპოვებს?

ილია ნაკაშიძე.

ცვლილება მინისტრთა საბჭოში

ი. ლ. გორემიკინის პროგრამა.

კოკოვცევის ნაცვლად მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნა გორემიკინი. ეს თანამდებობა მისთვის ახალი არ არის: იგი 70 დღეს იყო პრემიად პირველ სათათბიროს დროს. გორემიკინის მიმართულება უკვე ცნობილია, გარკვეული. წინად იგი მოუთმენლობას იჩენდა სათათბიროსა და პრესისადმი. პირველი სათათბირო მისი მეოხებით დაითხოვეს. პრესის წინააღმდეგ მიმართული ცირკულიარები ისე უხვად არა დროს გამოსულა, როგორც მის პრემიერობის დროს. ეხლა, როგორც გორემიკინთან ახლო მდგომი პირები ირწმუნებიან, მის მიმართულებას ცვლილება ეტყობა; იგი თითქოს შეურიგდა არსებულ მდგომარეობას.

გორემიკინის აზრით, დიდი შეცდომა იყო, რომ საარჩევნო კანონის შესამუშავებლად არ იყო მოწვეული საერო კრება. მაგრამ, რადგანაც სათათბირო არსებობს, იგი იმად უნდა მივიღოთ, რა სახითაც არის. სათათბიროს და მთავრობის მოქმედება შეფარდებულ-შეთანხმებული უნდა იყოს.

თუ კი 17 ოქტომბრის მანიფესტი არსებობს, უნდა ყოველი ღონე მივიღოთ, რათა მისი ძირითადი დებულებანი განხორციელდეს ცხოვრებაში.

საგარეო პოლიტიკის საკითხში გორემიკინი მომხრეა საფრანგეთთან კავშირისა. ინგლისისადმი გორემიკინი გულგრილობას იჩენს. მისი აზრით, რუსეთის საგარეო პოლიტიკა შეთანხმებული უნდა იყოს საფრანგეთის პოლიტიკასთან. გორემიკინს გერმანიის მომხრეს ვერ უწოდებენ. ბოსნიის ანექსიის დროს გორემიკინს ეს აზრი გამოუთქვამს: რადგანაც ანექსია მოხდა, რუსეთს უნდა განეცხადებინა, რომ ბერლინის ხელშეკრულება დარღვეულია და თავისუფლად უნდა ემოქმედნა. ამბობენ, გორემიკინი უარყოფით უყურებდა ლონდონის უკანასკნელ კონფერენციას. ახლობელ აღმოსავლეთს გორემიკინი დიდმნიშვნელობას აწერს; რუსეთმა ბალკანეთზე თვისი პოლიტიკა უნდა აწარმოოს და არა ბულგარული, სერბიული და სხვა.

გორემიკინის დამახასიათებელი თვისება არის სიმშვიდე და აუშფოთებლობა. მას ვერაფერი ვერ აღელვებს.

გორემიკინი ყველაფერს გულგრილად და აუღელვებლიც ეკიდება. „დეე, მიმდინარეობდეს ისე,როგორც მიმდინარეობსო“, აი მისი ლოზუნგი.

ამბობენ, რომ გორემიკინი დროებით არის დანიშნული პრემიერადო. ეს თანამდებობა შესთავაზეს ჯერ კრივოშეინს, მაგრამ მას უარი უთქვამს, რადგანაც კრივოშეინის აზრით, პრემიერობისთვის აუცილებლად საჭიროა გაიაროს შინაგან საქმეთა მინისტრობა. კრივოშეინის უარის შემდეგ მიუციათ პრემიერობა გორემიკინისათვის; გორემიკინის შემდეგ დაინიშნება კრივოშეინი, რომელსაც საშუალებას მისცემენ განვლოს შინაგან საქმეთა მინისტრობა. ამბობენ საზღვარ-გარეთიდან დაბრუნებისას კრივოშეინს შინაგან საქმეთა მინისტრად დაჰნიშნავენო.

შინაგან საქმეთა მინისტრის მაკლაკოვის მდგომარეობა ამ ჟამად მტკიცე ვერ არისო. გორემიკინისა და მაკლაკოვის ურთიერთობა სასურველი ვერა ყოფილა. გორემიკინი მინისტრთა საბჭოში უმალვე დაიწყებს კამპანიას მაკლაკოვის წინააღმდეგო. ვინ დარჩება გამარჯვებული ამ ბრძოლაში, მაკლაკოვი თუ გორემიკინი, ამას მომავალი გვიჩვენებს.

დეპუტატების აზრი კოკოვცევსა და გორემიკინზე.

სათათბიროს დეპუტატები გამოსთქვამენ თავის აზრს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ ნამყოფ კოკოვცევსა და ეხლანდელ პრემიერის გორემიკინის შესახებ.

კოკოვცევის მუდმივი და უცვლელი ოპონენტი შინგარევი ამბობს: კოკოვცევი გამოცდილი და თვის საქმე მცოდნე კაცი იყო. იგი კეთილსინიდისიერი მუშაკი და შეუდარებელი ხაზინადარი იყო. იგი არ იყო სახელმწიფო მოღვაწე, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით. კოკოვცევი ყოველთვის ხაზს უსვამდა თვის ოპტიმიზმს, მაგრამ იგი არჩევდა, რომ ეს ოპტიმიზმი არ იყო საღი, ჯანმრთელი, რომელსაც შეეძლო შემოქმედება; მისი ოპტიმიზმი თვალს იხუჭავდა და არ უნდოდა დაენახა ჩვენი ცხოვრების ეკონომიური და პოლიტიკური ცუდი მხარეები. იგი გულმართალი დემოკრატიისანი კაცია, მაგრამ მაინც ბიუროკრატი; როგორც ძველი რეჟიმის კაცი იგი ვერ ეგუებოდა სახალხო წარმომადგენლობას.

გორემიკინის შესახებ შინგარევმა სთქვა: დღეს საჭიროა ძლიერი და მამაძი პიროვნება; ყოველ შემთხვევაში საჭირო ახალი ხალხი. ჩვენ კი ბებერ ბიუროკრატს გვაწვდიან.

ალექსეენკომ სთქვა: გორემიკინი უპორტფელო მინისტრია: შესაძლებელია სათათბიროში არც კი გამოჩნდეს.

ვარუნ-სეკრეტი ჩივის: კოკოვცევის წასვლით სათათბირომ ბევრი დაჰკარგა. კოკოვცევთან ყოველთვის შეიძლებოდა მოლაპარაკება, შეთანხმება;

გორემიკინი სახელმწიფოებრივ დიდი ჭკუისა და გამოცდილების პატრონია. არა მგონია სათათბიროს დათხოვნა მოიწადინოს.

ნეკრასოვი. კოკოვცევი კეთილის მყოფელი და უბოროტო ადამიანი იყო, მაგრამ მაინც დიდი ვნება მოუტანა რუსეთს. კოკოვცევი არასოდეს არა ყოფილა ფინანსთა მინისტრადღ: იგი მხოლოდ გამოცდილი ხაზინადარი იყო.

გორემიკინის დანიშვნა ჰნიშნავს რეაქციის გაძლიერებას.

ეფრემოვი: კოკოვცევი თადარიგიანი და გონიერი ხაზინადარი იყო, მაგრამ როგორც პრემიერი უპიროვნო და უფერული. რაც შეეხება გორემიკინს, მე როგორც პირველ სათათბიროს წევრს, მის შესახებ არა სასიხარულო მოგონებანი მაქვსო.

ძიუბინსკი: კოკოვცევის წასვლის შემდეგ დავინახავთ, თუ საით იქნება მიმართული ჩვენი პოლიტიკის საქმე. უფრო რეაქციონური იგი არ იქნება, რადგანაც ამაზე შორს წავლა, რაც არის, ყოვლად შეუძლებელია. იქნება უფრო გარკვეული სახე მიიღოს.

კრუპენსკი დიდს სიხარულს ემლევა, რომ პოლიტიკურ ჰორიზონტის პერსპექტივები ნათლდება. კრუპენსკი სიხარულით უხვდება ახალ პრემიერს, თუნდა უკიდურესი რეაქციონერიც იყოს.

სკოროპადსკი კოკოვცევის წასვლას ჰნანობს. კოკოვცევი ჩინებული ფინანსთა მინისტრი იყოო.

ბიუროკრატთა წრეში.

ბიუროკრატთა წრეში კოკოვცევის გადადგომაზე ამბობენ, რომ კოკოვცევის დანიშვნამდე ეჭვობდნენ და დანიშვნის შემდეგ უკვე ცხადი შეიქნა, რომ კოკოვცევი ვერ გამოდგებოდა პრემიერად; ამისთვის კოკოვცევს არც ენერგია ჰქონდა, არც გამბედაობა და არც გავლენა. რაც უფრო მეტი ხანი გადიოდა, მით უფრო უახლოვდება კოკოვცევი თვის საბედისწერო საზღვარს. გორემიკინის დანიშვნას ბიუროკრატთა წრეში დროებით სთვლიან. გორემიკინის არც ხანი, არც ჯანმრთელობა და არც მისი გულგრილობა უუშვებს საკითხისადმი არ შეეფერება პრემიერის თანამდებობასაო. როგორც ამბობენ, ეხლავე იწყება კამპანია გორემიკინის წინააღმდეგ. თუ კრივოშეინი განიკურნა, პრემიერად მას დაჰნიშნავენ. საზოგადოდ ბიუროკრატიის წრეში ყოველგვარ სიურპრიზებს მოელიან.

ხმები მინისტრთა გადადგომაზე.

პეტერბურგში ხმები გავრცელდა, რომ გარეშე საქმეთა მინისტრი საზონოვი თანამდებობიდან გადადგებაო. კასოს გადადგომაზე ერთი მეორეს საწინააღმდეგო ხმები გავრცელდა; ერთი ვერსიით კასომ უკვე შეიტანა გადადგომის თხოვნა და ეს თხოვნა მიიღესო. მეორე ვერსიით კასო თხოვნის შეტანასაც არ აპირებსო. შინაგან საქმეთა მინისტრის მაკლაკოვის მდგომარეობაც სამედოდ არ ითვლება.

უცხოეთი

ბრძოლა ჰომრულისათვის.

როგორც კი ინგლისის პარლამენტის კრებები განახლდა, მაშინვე გაცხარებული ბრძოლა გაიმართა უნიონისტებისა და ლიბერალებს შორის. დადგა ხანა, როდესაც ირლანდიის ჰომრულის ბედი საბოლოოდ უნდა გადაწყდეს. ორი უკანასკნელი სესიის დროს ქვედა პალატამ ორჯერ მიიღო მთავრობის ბილი: ლორდთა პალატამ კი იგი ორჯერ უარჰყო. თუ ამ სესიის მიმდინარეობის დროსაც ქვედა პალატაში ბილს უმრავლესობა მიიღებს — ამაში კი ეჭვი არავის ებადება—მაშინ თანახმად ახალი veto-ბილისა იგი იქნება მიღებული პარლამენტის მიერ და დასამტკიცებლად მეფეს წარედგინება, რომელიც—ამაშიაც ეჭვი არავის ებადება—მას დაამტკიცებს.

ინგლისში მთავრობა არა მარტო თავის ფორმალურ უფლებებს ემყარება, არამედ მუდამ ზრუნავს მოქალაქეთა უფლებებსა და სურვილებზე. ამაშია ძლიერება მთავრობისა. ასკვიტის მთავრობა მუდამ დამოუკიდებლად და გაბედულად მოქმედებდა ქვედა პალატის მიერ მიღებულ ბილის დასამტკიცებლად. მაგრამ მოიძებნებიან ისეთნიც, რომელ-

ნიც ჰომრულის წინააღმდეგნი არიან: მაგალითად, ულსტერი. ეს პროვინცია მოითხოვს, რომ იგი გამოყოფილი იყოს ჰომრულისაგან და იმუქრება კიდეც, თუ მთავრობა არ შეასრულებს ჩვენს სურვილს, იგი იარაღით გაუწევს წინააღმდეგობას. ახალი კანონის სისრულეში მოყვანას. ათი და ასი ათასი კაცის წინააღმდეგობის ჩაქრობა მთავრობისათვის ადვილი საქმეა. მაგრამ მთავრობას არა ჰსურს სისხლის ღვრა. ესეც რომ არ იყოს სისხლის ღვრაც რომ არ მოხდეს, მთავრობას არა ჰსურს, სიმძულვარე და ღვარძლიანობა აედევნოს ირლანდიის თვითმმართველობის პირველ ნაბიჯს, რომლისთვისაც ეს მრავალტანჯული მხარე ასე ხანგრძლივ და გმირულად იბრძოდა. ამიტომ მთავრობა მზადაა დათმობაზე, მხოლოდ ამ დათმობამ არ უნდა გააუქმოს პრინციპი განსახორციელებელ რეფორმისა.

ოპოზიცია ჰხედავს ამ დათმობის სურვილს და მოისურვა მისი გამოყენება, რათა მიიღოს იმაზე მეტი, რის განხორციელებაც მთავრობასა ჰსურს. ვალტერის, ლონგის და ოსტენ ჩემბერლენის პირით იგი მოითხოვს ან ირლანდიის ჰომრულიდან ულსტერის გამოყოფას, ან და სანამ საბოლოოდ გადასწყდებოდეს ეს საკითხი, დათხოვნილ იქნეს პარლამენტი და დაინიშნოს ახალი საკანონმდებლო არჩევნები, რათა ამით საამომრჩევლო კორპუსს შეძლება მიეცეს გამოსთქვას თავისი საბოლოვო აზრი ამ ისტორიულ საკითხის შესახებ.

მთავრობა ადვილად არღვევს ამ პირობებს. ორჯერ მოხდა საერთო არჩევნები პარლამენტის კონფლიქტის ნიადაგზე და საარჩევნო კორპუსის წინ ორჯერვე წამოყენებული იყო საკითხი ჰომრულისა, ორჯერვე მთელმა ქვეყანამ ხმის უმეტესობით სასურველად სცნო ეს რეფორმა. ულსტერი შეადგენს ირლანდიის პაწაწკინა ნაწილს და ამიტომ მაზედ უნდა გავრცელდეს ჰომრულის მოქმედება.

ამ მოთხოვნილებათა ნიადაგზე ეჭვს გარეშეა შეთანხმება ვერ მოხდება; უნიონისტები ამას კარგად გრძნობენ. ჯერ არ იციან, თუ რას ჰპირდებოდა ასკვიტი ბერნარ ლოუს. მაგრამ ზოგიერთ გავლენიან ორგანოების ცნობათა მიხედვით, საფიქრებელია, რომ ასკვიტი დასთანხმდებოდა უკვე დამტკიცებულ კანონის განხორციელებაზე ირლანდიის თვითმმართველობის შესახებ, მხოლოდ ახალი არჩევნების შემდეგ, რომელიც 1915 წელს უნდა მოხდეს. ამასთანავე იგი დასთანხმდებოდა, რომ ულსტერლებს მიეცეს თავისი საკუთარი ჰომრული ირლანდიის ჰომრულის საზღვრებში, რომელიც დაიცავს მათ სინიდისის თავისუფლებას და ულსტერლების სასკოლო საქმის ავტონომიას.

ეს დათმობანი იმდენად საგრძნობელია, რომ ოპოზიციას შეუძლიან მითი დაკმაყოფილება. მაგრამ უნიონისტებს არა ჰსურთ მთავრობის წინადადების მიღება, რადგან მეტის მიღება ჰსურთ. თავის ანგარიშებს ისინი ამყარებენ მთავრობის უმრავლესობის ელემენტების სხვა და სხვაობაზე, რადიკალებისა და მუშათა პარტიების უკმაყოფილებაზე და სხვა. მაგრამ ძლიერ ცოტა საფუძველია რომ უნიონისტების იმედები გამართლდეს. ირლანდიის ჰომრულის განხორციელება, მრავალჯერ ხმის ჩამოტარების წესის გაუქმება და სხვა უახლოესი გადასაწყვეტი რეფორმა, უეჭველია, აიძულებს რადიკალებსა და მუშათა პარტიებს განსაცდელის დროს შეთანხმდნენ და მხარი დაუჭირონ მთავრობას.

ამისათვის, მოხდება თუ არა კომპრომისი, ან თუ მხარეები ვერაფერ შეთანხმების გზას ვერ დაადგებიან ირლანდიის ჰომრულს ბევრი საბუთი აქვს, რომ კანონად იქცეს.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

4 თებერვალი

უცხოეთი.

ათინა. მეფის თავმჯდომარეობით მინისტრთა საბჭოს სხდომა მოხდა. გარეშე საქმეთა მინისტრი სხდომას ავადმყოფობის გამო ვერ დაესწრო. ვენიზელოსმა სხდომას თავისი პოლიტიკური მოგზაურობის შთაბეჭდილებანი გაუზიარა. მინისტრთა საბჭომ განიხილა ფლოტის გაძლიერების საკითხი. ვენიზელოსი ეპირის საზღვრის გამოჯობესებას ეჭვს გარეშე სთვლის. სერბიისა, რუმინიისა და საბერძნეთის შეთანხმება ბალკანეთის „სტატუს-ქვოს" უზრუნველ ჰყოფს.

ბელგრადი. კოკოვცევის გადადგომაზე „პრავდა" სწერს: ბალკანეთის ამბებს დიდი მნიშვნელობა აქვს რუსეთის სახელმწიფოებრივ ისტორიაში. როდესაც ბალკანეთის კავშირი შეიქმნა, რუსეთის მთავრობის სათავეში კოკოვცევი იდგა. ეს ამბავი საბუთს იძლევა, რომ კოკოვცევის სახელი ისტორიაში იყოს მოხსენებული. კოკოვცევი და საზონოვი რუსეთის მთავრობის სათავეში იდგნენ სერბიის განმათავისუფლებელ ომის დროს. ისინი ძმურად ეხმარებოდნენ სერბიას. გაზეთი იმედს გამოსთქვამს, რომ გორემიკინი კოკოვცევის პოლიტიკას მოჰყვება სერბიის მიმართ.

ლონდონი. ქალების თანასწორობის მომხრე მამაკაცთა კავშირმა ტრაფალგარში მიტინგი გამართა. მიტინგს აუარებელი ხალხი დაესწრო. შოტლანდიელ „მოლაპარაკეებმა აღნიშნეს, რომ შოტლანდია მზად არის ქალებს სრული თანასწორობა მიანიჭოს. მიტინგმა რეზოლიუცია გამოიტანა, რომლითაც მთავრობისაგან მოითხოვს ქალთათვის საარჩევნო უფლების მინიჭებას.

სოფია. „კამბანში" გამოქვეყნებულ ამბების გამო, ვითომც რუსეთის ფულით მოსყიდულნი არიან ბულგარელი სახელმწიფო მოღვაწენი და გაზეთებიო, რუსეთის ელჩმა პროტესტი განაცხადა; ელჩს აღუთქვეს, რომ ოფიციალური გაზეთი უარჰყოფს ცილის წამებას, რომელიც ჩირქს ჰსცხებს რუსეთის საელჩოს ბულგარეთში და მთლად ბულგარეთის ინტელიგენციას. „კამბანს" ბრალდებული დაუყოვნებლივ მისცემს სამართალში. ფერდინანდ მეფემ კაბინეთის უფროსის პირით გულისწყრომა გამოსთქვა „კამბანის" წინააღმდეგ. ცილისწამების უარყოფა უკვე იყო დაბეჭდილი ოფიციოზ „ნაროდნი პრავა"-ში.

სოფია. „ბალკანსკაია ტრიბუნა"-ში დაბეჭდილია წერილი: „რუსეთისა თუ ავსტრიის ოქრო". გაზეთი სწერს: რაც უფრო ახლოვდება არჩევნები, მით უფრო ჰშმაგობს მთავრობა და მის მიერ შესყიდული ქუჩიანი გაზეთები. სანამ მთავრობის ბრბო თავს ესხმის და სდევნის მოქალაქეთა კრებას, ეს მოსყიდული გაზეთები სხვა და სხვა ფანდებითა და შანტაჟით სცდილობენ დასცენ უანგარო და მოუსყიდველი ოპოზიციის გაზეთების გავლენა. მათ არა აქვთ მოქალაქობრივი გამბედაობა პირ და პირ დაასახელონ მოსყიდული პიროვნებანი; ამ ქუჩიანმა გაზეთებმა გაინაწილეს როლი: ზოგი ბრალსა სდებს ოპოზიციონურ გაზეთებს რუსეთის ოქროთი მოსყიდვას, ზოგი სცდილობს გამოიცნოს მოსყიდული პიროვნებანი. რუსეთის ოქროზე ყვირილით სცდილობენ დაჰფარონ ავსტრიის ოქრო, რომელიც უხვად იფრქვეოდა ომის დროს, როდესაც ჩვენ მოკავშირეებს ვებრძოდით. რუსეთის ოქრომ კი არა, ავსტრიის ოქრომ წარმოშვა მოკავშირეთა ომი, მან გამოუთხარა ძირი ბალკანეთის კავშირს. ეს ოქრო ეხლაც იფრქვევა, რადგანაც ავსტრიას ჰსურს ბალკანეთში მღელვარება.

მარმაროშ-სიგეტი. ჩვენებას ართმევენ ბეშკულ მოწმეებს. მოწმეთა ჩვენება საბუთს არ იძლევა, უგრორუსთა მოძრაობას პოლიტიკური ხასიათი მისცენ.

სტამბოლი. ოსმალეთმა დიდ სახელმწიფოთა ნოტაზე საპასუხო ნოტა წარადგინა. ოსმალეთს იმედი ჰქონდაო, აცხადებს ოსმალეთი, რომ დიდი სახელმწიფონი ეგეის კუნძულთა გადაწყვეტის საკითხში მხედველობაში მიიღებდნენ ორივე მხარის ინტერესებსაო და ისე მოაგვარებდნენ საქმეს, რომ რაიმე უთანხმოებას ადგილი არ ექნებოდა. გულის მწუხარებით შეიტყო ოსმალეთმა, რომ დიდ სახელმწიფოებმა სათანადოდ ვერ მიიღეს მხედველობაში იმპერიის ინტერესები. „ტანინი" სწერს: რადგანაც ლონდონში მოლაპარაკება დასრულდა, ხაკი-ფაშა პეტერბურგს გაემგზავრებაო.

ბერლინი. პრინცი ვიდი ალბანეთის დელეგაციას მიიღებს ნეივიდის სასახლეში 6 თებერვალს.

სტოკჰოლმი. ახალ სამინისტროს სია ხვალ გამოქვეყნდება.

რუსეთი.

ბეჭდვითი სიტყვის კანონ-პროექტი სათათბიროს კომისიაში.

პეტერბურგი. ბეჭდვითი სიტყვის კომისია. კომისიამ მიიღო მუხლი, რომლითაც სტამბის გახსნა ნებადაურთველად სამი თვის ციხითა და 300 მან. ჯარიმით ისჯება. წიგნის მაღაზიისა და ბიბლიოთეკის ნებადაურთველი გახსნა ან გამგეს დანიშვნა დაუმტკიცებლად 500 მან. ჯარიმით ისჯება. სასამართლოს უფლება ენიჭება დაკეტოს ზემო დასახელებული დაწესებულებანი კანონის დარღვევისათვის, ვიდრე კანონის მოთხოვნილება არ იქნება შესრულებული. გამოცემათა გამოსვლის პირობათა შეცვლა, თუ არ ეცნობება ბეჭდვითი სიტყვის სასამართლო ორგანოებს, 300 მან. ჯარიმით ისჯება. გაზეთის ნომრის გამოშვება სტამბის საპასუხისმგებელ რედაქტორის აღუნიშვნელად ჯარიმით ისჯება; თუ საცენზურო კომიტეტს არ წარედგინება განსაზღვრული რიცხვი გამოცემისა, ესეც ჯარიმით ისჯება. გარდა ამისა სათათბიროს უფლება ეძლევა სტამბა ექვსი თვით დაკეტოს. გამოცემათა ვაჭრობის დამდგენილ კანონების დარღვევისათვის დამნაშავეებს გადახდებათ 25 მან. ჯარიმად. კომისიამ უარჰყო ის პუნქტი, რომლითაც სასამართლოს ენიჭება უფლება სამართალში მიცემულ გამოცემათ გირაოდ მოსთხოვოს 2,500 მანეთი. კომისიამ ოპოზიციის წევრთა ხმების წინააღმდეგ მიიღო ის პუნქტი, რომელიც სასამართლოს უფლებას აძლევს პასუხისმგებელი რედაქტორობა აუკრძალოს 1 წლის ვადიდან 5 წლამდე დამნაშავე რედაქტორს. უარჰყეს პუნქტი, რომლითაც სასამართლოს უფლება ენიჭებოდა სტამბებისა, წიგნის მაღაზიების და სხვათა დაკეტვა 1 წლიდან 5 წლის ვადამდე.

დამნაშავენი, რომელნიც სათათბიროსა და საბჭოს ანგარიშების ბეჭდვის წესებს დაარღვევენ, დაისჯებიან დაპატიმრებით 7 დღიდან ექვს კვირამდე. საგანგებო შემთხვევებში დაპატიმრების ვადა იქნება სამი თვიდან ექვს თვემდე.

პეტერბურგი. სახელმწიფო საბჭოს წევრებს ნოვიცკის, ვებერს და პოკროვსკის დაევალათ ფინანსთა მინისტრის ამხანაგის თანამდებობის ასრულება, ვიდრე ახალი პირები არ დაინიშნებიან.

წერილი რედ. მიმართ [*]

„სახალხო გაზეთის" № 1106 (2 თებერ.) მეთაურში—„სამღვდელოების კრების გამო", სხვათა შორის ნათქვამია: „როდესაც იმერეთის სამღვდელოებამ ავტოკეფალიის შესახებ მოინდომა მსჯელობა, ეპისკოპოსმა გიორგიმ ნება არ დართოო". ეს ცნობა სიმართლეს მოკლებულია. ორიოდე დეპუტატის სურვილი იყო არა მსჯელობა ავტოკეფალიაზე, არამედ შედგენა და გაგზავნა სადაც ჯერ არს იმავე შინაარსის ტელეგრამისა, როგორიც ამ სამი წლის წინად იმერეთის სამღვდელოების კრებამ ეგზარხოსს ინოკენტის გაუგზავნა და რომელშიაც, სხვათა შორის, მოსთხოვა ჩვენი წადილის (ავტოკეფალიის) მიღწევაში დაგვეხმაროო. მკითხველ საზოგადოებას ახსოვს, რა პასუხი გამოიწვია ამ მოთხოვამ. დემაგოგობა და ხელმწიფის ბრძანების წინააღმდეგობაც კი დაგვწამეს და სხვა. ორიოდე მყვირალას, რომელთაც ლხინიკო უქმძღებივით, პირზე აკერიათ გაუმარჯოს ავტოკეფალიასაო, საქმით კი ღმერთმა იცის, სით მიილტვიან, უნდოდათ გაემეორებინათ წინანდელი ტელეგრამა, უფრო კი მკვახედ. აი, მე ამნაირი შინაარსის ტელეგრამის გაგზავნა აუკრძალე, თუმცა დღესაც არ ვიცი, გამიგონეს თუ არა. წინ-წაუხედავი ტელეგრამების და ქაღალდების გზავნა ახალ პირებთან ვნების მეტს არას მოუტანს საქმეს.

ეხლანდელს სამღვდელოების კრებას, თუნდა რომ ჰქონოდა მსჯელობა ავტოკეფალიაზე, ვერაფერს საყურადღებოს ვერ იტყოდა, ამისათვის არც მომზადება შესწევდა და არც დრო ჰქონდა. მისი მსჯელობა ბოლოს გამოიხატებოდა მარტო იმაში, რომ დაადგენდნენ—ავტოკეფალია გვინდა, რომ უამისოთ ჩვენი ეკლესიის აღდგენა შეუძლებელიაო. ეს აზრი ხომ არა ერთხელ ითქვა და დაიწერა. არა ერთხელ გვითხრეს: ამ კითხვის გადაწყვეტა ხელმწიფე იმპერატორმა რუსეთის მომავალ საეკლესიო კრებას გარდასცა და მოვალენი ხართ მოთმინება იქონიოთ და მოიცადოთო.

მეტად სცდება ბატონი მეთაურის ავტორი, როდესაც შემდეგს სწერს: „იყო დრო, როდესაც ქართველ სამღვდელოების შემაკავშირებელ სტიმულად გადაქცეული იყო საკითხი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისა, დღეს ესეც აღარ არის. ძველი იდეალები დავიწყებულია. სამღვდელოება ჩაითრია პირადმა ცხოვრებამ, პირადს კეთილდღეობას, კარიერას ანაცვალა იდეალები ქართული ეკლესიისა". არც სამღვდელოებას და არც მის წინამძღვართ თავიანთი იდეალი არც დავიწყებიათ და არც უღალატნიათ მისთვის. უდროვო ყვირილი და ჩხავილი საქმეს ვნების მეტს არას მოუტანს. თვითონვე მეთაურის ავტორი ბრძანებს რომ: „საკითხი საქართველოს ავტოკეფალიისა ჯერ გადაწყვეტილი არ არის. იგი ჯერ ისევ ელის გადაწყვეტას, უმაღლესის ბრძანების თანახმად. ამასვე მოწმობს თავის უქვეშევრდომილეს მოხსენებაში კავკასიის მეფის მოადგილე. ზემოხსენებულ მოხსენებაში მეფის მოადგილე ამბობს, საკითხი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისა ელის კანონიერ გადაწყვეტილებასაო. თუ ეს ასეა, სამღვდელოებას სრული უფლება აქვს, როგორც ზნეობრივი, ისე იურიდიული იმსჯელოს ავტოკეფალიაზე და მოამზადოს სრული მასალა იმ საეკლესიო კრებისთვის, რომელიც უმაღლესისავე ბრძანებით დღეს არა ხვალ უნდა შეიკრიბოს რუსეთში".

მსჯელობა და მასალის მოგროვება ავტოკეფალიაზე დასრულებულად უნდა ჩაითვალოს. ვთქვით და დავსწერეთ, ვისაც რა შეგვეძლო, იმაზე მეტს, რაც ითქვა და დაიწერა მცოდნე და ავტორიტეტიან ავტოკეფალიის მომხრე პირთაგან, მე და ჩემდამი რწმუნებული სამღვდელოება ვერას ვიტყვით. ჩვენი უთავბოლო მსჯელობით კი საბაბს მივცემთ იმათ, ვითომ ავტოკეფალია გვინდა რაღაც დაფარული მიზნის მისაღწევადო. დიახ, შეიძლება მალე რუსეთის სამღვდელოების კრებას მოუწოდონ, მაგრამ ისიც შეიძლება, რომ მანამდის ბევრმა წყალმა ჩაიაროს. კრებაზე მოწვეულნი იქნებიან საქართველოს ეკლესიის წარმომადგენლებიც. ეს წარმომადგენელნი ისე ვერ წავლენ, რომ ერთხელ კიდევ არ შეეკითხონ სამღვდელოებას. სამღვდელოების კრებებმა უნდა მისცენ ინსტრუქცია თავიანთ წარმომადგენელთ. მომავალი ჩვენი სამღვდელოების კრებების თავსატეხი საკითხი იქნება, წავიდნენ თუ არა საქართველოს ეკლესიის წარმომადგენელნი რუსეთის საეკლესიო კრებაზე, ამ კითხვას ჩვენი ჩვეულებრივი წლიური ეპარქიალური კრებები სხვა და სხვა მიზეზებისა გამო ვერ გადასწყვეტავს. ჯერ ისიც არ ვიცით, გვეძახიან თუ არა, ჯერ ისიც არ არის გადაწყვეტილი თვით რუსეთის სამღვდელოებისაგან, ვის მოუწოდებენ. ვიქონიოთ, ბატონებო, სიდინჯე და წინდახედულება; ბრაზმორეული ყვირილით და წერით ღიმილსა ვგვრით ჩვენი საქმის მოწინააღმდეგეთ.

ეპისკოპოსი გიორგი.

3 თებერვ. 1913 წ.

შემოწირულება

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას შემოსწირეს:

1) მღვდელმა ანდრია ნამორაძემ (სოფ. კარალეთიდან): რკინის ტარიანი გრძელი დანა.

2) თინათინმა და ნატალია ბურჭულაძეებმა: ა) ქამრი ხუცური, ნაბეჭდი (დაზიანებული), ბ) თეოლოგიური ლექსიკონი ახლისა აღთქმისა (რუსულისაგან გარდმოღებული (ტარასის მიერ მღვდელ-მონოზონისა), 1824 წელს პეტერბურგში ნაბეჭდი მხედრული წიგნი; გ) ჟურნალი „საქართველოს სასულიერო მახარებელი", 1865 წლისა—№№ 1, 3, 4, 5 და 6 (ერთ წიგნად) და 1866 წლისა—№№ 7, 8, 9, 10 და 12 (ერთ წიგნად); დ) გზა ცხოვრებისა, მხედრულად ნაბეჭდი წიგნი 1878 წ. კოსტანტინეპოლში; ე) ოქრომკედით ნაქარგი, თეთრი ატლასის სარტყელი; ვ) 11 შავი ფული (სამი ქართული, 6 რუსული, ერთი თათრული და ერთი ფრანგული) და 5 თეთრი ფული (3 ქართული, ერთი რუსული და ინდოური).

3) მოწაფემ კარბელაშვილმა: მეფის დავითის შავი ფული.

4) დიმიტრი დავითის ძემ ჩოლაყაშვილმა: თუში მოურავის დურმიშხანის ბეჭედი.

5) შუა მთის მონასტრის მღვდელ-მონაზონმა იოსებმა: ა) ქართული ფულები, ორი (ერთი თეთრი, ერთი შავი) და ბ) ქაღალდის ფული, თათრული, 1876 წლისა (ერთი თათრული ბეჭედი აზის, ერთი ფრანგული.

6) ბ-ნმა ცისკარაშვილმა: შავი ფული დავით მეფისა.

7) მოწაფემ გრიგოლ დიდებულიძემ: ხელნაწერი „წამება წმინდის მარინასი" (პაწაწინა წიგნი).

8) დარია იასეს ასულმა სულხანიშვილმა: ა) მარიამ დედოფლის (გიორგი XII-ს მეუღლის) ნაქსოვი ქისა ბ) ორი ჯვარი, თვლიანები (ორივე ჯვარი ნაწილებიანი) და სხვა.

9) ტარასმა მღვდელ-მონაზონმა (დარიის მონასტრიდან): ა) წმიდა სტეფანეს, არქიდიაკონის ხატი (ფერადებით ნახატი ტილოზე) და ბ) ცალყურა თიხისა ავლაბარში, დარიის მონასტრის ახლოს საფლავში ნაპოვნი საძირკვლის თხრის დროს.

10) გიორგი ანტონის ძემ კოწოწაშვილმა: ტაკუკი ანუ საზედაშე, ვერცხლისა.

11) თავადის ფარსადან ტუსიშვილის ასულმა, ეფემიამ: ა) წყვილი ფირფიტა ყვავილებიანი და ბ) ოქრომკედით ნაქარგი შავი ატლასის სარტყელი, გულისპირი და ყურთმაჯები.

12) მოწაფემ დიმიტრი სულხანიშვილმა: თათრული თეთრი ფული.

საზოგადოების საბჭო გულითად მადლობას უძღვნის შემომწირველებს.

რედაქტორი ნ. ჟურდლელაშვილი.
გამომცემელი ა. ჯაჯანაშვილი.

ქალაქის სავადმყოფოები

ცენტრისა—პუშკინის ქ., შესავალი გრაფის ქუჩიდან.
ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.
ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.
კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, გალ, დღესვე იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი. გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

უფასო საექიმო დახმარება

ქალაქის საბჭოს ექიმები.

უბნები	
1—2	**გ. ა. ბედოლინი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).
3—4	**მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).
5—6	**ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).
6—7	**გ. ლ. კიკალიშვილი** (ავლაბარი, კახეთის ქ. № 2, ტელეფ. 15—27).
8—9	**ე. ა. მელიქ-შახნაზაროვი** (გუნიბის ქ. № 23).
10, 11—12	**ა. ბ. ტერ-ნიკოღოსოვი** (მიხეილის ქ. № 169, ტელ. № 936).

ს. ა. გრიაზნოვი
სხვა მასწავლებლებთან ერთად
ამზადებს
გიმნაზიის, რეალურ და კომერციულ სასწავლებლის დაბალ, საშუალო და მაღალ კლასებისათვის, სამხედრო და მიწის-მზომლის სასწ. პირველ კლასისთვის და სხვა და სხვა მოწმობებზე. უკვე შემდგარია ჯგუფი გიმნაზიის მე-6 და მე-7 კლასისთვის და კომერც. მე-6 კლას. მარიამობისთვის ეგზამენისათვის. იყვანს სრულ პანსიონზედაც. ვერა, იზმაილოვის შესახვ., ბელინსკ. ქუჩიდან № 3, მესამე სართული. 43

სამშობიარო
თავშესაფარი
თუხარელისა
გადავიდა საკუთარ სახლში, გოლოვინის პროსპექტის ახლოს, ვოლოვონზის შესახვევი № 8. მიღება მშობიარეთა ყოველთვის დღე და ღამე, საამბულატორიო მიღება ავადმყოფებისა, [illegible] და ყვავილის აცრა საღამოს 4 ს.-დან 5 ს.-მდე. 1511

თევზის მრეწველნი
ძმ.
მეგველოვები.
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.
ტელეფონი № 712.

მატარებელთა მიმოსვლა

18 აპრილიდან
(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

ტფილისიდან გადის.

ბაქოსაკენ: № 6, ჩქარი პლაცკ. დილ. 10 ს. 16 წ., № 22, სამგზ.-საბარგო ნაშუადღ. 3 ს. 35 წ., № 4, საფოსტო სადამ. 10 ს. 16 წ., № 8, სამგზავ. სად. 6 ს. 29 წ., № 106, ნარევი მეოთხე კლასის ვაგონით, ტვირთის გადამზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 4 ს. 23 წ.

ბათუმისაკენ: № 3, საფ. დილ. 9 ს. 51 წ., № 11, დილ. 11 ს. 28 წ., (ივლის პირველიდან 14 ენკენისთვემდე). № 7, სახქარო პლაცკ. ნაშ. 4 ს. 40 წ., № 9, სამგზ. ღამის 10 ს. 30 წ., № 107, ნარევ. მეოთხე კლ. ვაგონებით, ტვირთ. გადასაზ. სამგზ. მატ. სისწრაფით ღამ. 2 ს. 48 წ.

ბორჯომისაკენ: № 17, სახ. დილ. 8 ს. 2 წ. № 19, სამგზავრ. ნაშუადღ. 3 ს. 16 წ.

ჯულფისაკენ: საფ. № 4/3, შუადღ. 12 ს. წ.

ყარსისკენ: სახ. № 14/13, ღამ. 12 ს. 46 წ.

ერევანისკენ: № 24/23, საბარგ.-სამგზ. [illegible], 8 ს. 8 წ. მეორე და მესამე კლას. ვაგონებით.

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: № 3, საფ. დილის 9 ს. 1 წ., № 21, საბარ.-სამგზ. დილ. 10 ს. 28 წ., № 7, სამგ. მოსკოვი-კოზლოვი-რიაზანი-როსტოვი, ნაშუადღ. 3 ს. 53 წ., № 5, სახქარო—პეტერბურგი-მოსკოვი-კურსკი-ხარკოვი, სად. 9 ს. 35 წ., № 106, ნარევ., მეოთხე კლ. ვაგონებით, ტვირთის გადასაზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 2 ს. 12 წ.

ბათუმიდან: № 10, სამგზ. დილ. 8 ს. 40 წ. № 12, სამგ. შუადღ. 2 ს. 29 წ. (პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 8, სამგზ. სად. 5 ს. 54 წ., № 4, საფ. სად. 9 ს. 16 წ., № 106, ნარევი ღამ. 2 ს 12 წ.

ჯულფიდან № 4|3 საფოსტო 7 საათსა და წუთის სადამოთი.

ერევნიდან № 26|25 საქონლის და სამგზავრო 10 საათსა და 50 წუთზე დილით, მე-2 და მე-3 კლასის ვაგონით.

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1—2 **პ. ფომინა-თხაპოვისა** ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).
3—4 და რუსის ბაზარში **ქნ. ლ. ქალანთაროვა** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. ტელ. 517).
5—6 **ბ. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ. 645).
7—8 **ნ. დ. ხატისოვი** (ნიკოლოზის ქ. № 7, ტელ. 709).
9—11 **გ. თ. ნათიშვილი** (მონუმენტის შესახვევი, № 5. 487).
10—12 **გ. ა. მირაქოვი** (მიხეილის პროსპ. 174 ტელ. 327.)

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები და გვეხმარებოდნენ სანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სანიტარო მოთხოვნილებათა არღვევენ, [illegible] სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყოვნებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის საგანგებო პოლიციის კანტორებში: ერევნის მოედანზე, რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 64, ელისაბედის ქუჩა 56 და მაღაზინის მოედანზე.

ექიმი
მ. ტ. მულინი
სნეულებანი: ყელისა, ცხვირისა და ყურისა. იგი ავადმყოფებს სამკურნალოში აღარ იღებს, იღებს მხოლოდ საკუთარ ბინაზე: ვერის დაღმართი № 3. 52.

ქემო ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.
დილით:
„606" და „914"
11—12 ს. შეშხაპუნება
კონსულტაციურად.
ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ზ. გ. [illegible]: 1—2 ს ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
ზ. ი. ზაზანახოვი: 10—11 ს. სამშობიარო, ქალებისა და ბავშვებისა.
გ. გ. ბენიამინოვი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.
მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. მ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი, აბავშვთ და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი ო. გ. ტერ-დავიდოვისა 1—2 ს. [illegible] და ქალების ავადმყ.
საღამოთი:
მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.
რიგვა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.
1004

მანუფ. ლემბა
ავლაბარში
ფოსტის განყოფილების ქვეშ,
საკუთარ სახლში.
იყიდება
იმავე ხარისხის
საქონელი,
როგორც პუშკინის ქუჩაზე.

---

[*] ვბეჭდავთ ამ წერილს, მაგრამ, აქვე საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ ცნობა იმის შესახებ—ეპისკოპოსმა გიორგიმ ნება არ დართო ავტოკეფალიის გამო მსჯელობასაო—აღებული გვქონდა გაზ. „ერი"-დან ასე რომ მთელი პასუხისმგებლობა ცნობის ფაქტიურ სისწორის გამო გადაგვაქვს გაზეთ „ერზე".

ტფილისი, სტამბა „შრომა" მუხრანის ქუჩა.